



La Géorgie
Indépendante
Revue mensuelle
JUILLET
1931—N° 67

ო ვ ლ ი ს ი
1931 წ.
N° 67

დასავლეთ-აღმოსავლეთი საქართველო

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

მ ი ნ ა ა ტ ს ი :

მეთაური—გერმანია კატასტროფის წინ.
ილია ნუგუმიძე—რევუელიდან (ნაწყვეტები).
რ. ინგილა—მონტეკკი და კაპულეტტი.
—ლი—გ.—საქართველო ციფრებით.
კაჟი—მოსკოვი წინეთ და ვხლა.
უცხოეთის მიმოხილვა.

ნინო თაყაიშვილისა.
საქართველოს ამბები.
კომუნისტური პრესა.
ქართველი ეკლესია პარიზში.
კიშ. კვიციანი—ქართველები ხარბინში.
კ.—პავლე (ჩიტო) ნინიაშვილი და სხვ.

გ ე რ მ ა ნ ი ა კ ა ტ ა ს ტ რ ო ფ ი ს წ ი ნ

პრეზიდენტი ჰუვერის ქესტი—ერთი წლის მორატორიუმი ყველა ვალებისთვის—, რომელიც ასეთის ალტაცებით მიიღო, ივნისის დამღევს, მთელმა განათლებულმა მოსოფლიომ, ვერ გამოდგა საკმარისი გერმანიის ფინანსურ გაჭირვების გასაქრობათ, მის ფეხზე დასაყენებლათ. ერთი-ორი კვირის შენელების შემდეგ კრიზისი გაორკიცებული სისწრაფით გამწვავდა. დაიწყო ისევ კაპიტალების ლტოლვა გერმანიის ბანკებიდან უცხოეთში, გაჰქონდათ არა მარტო უცხოელ, არამედ თვით გერმანელ ფინანსისტებს თავისი ნაღდი. შიგნით კიდევ მდგომარეობა ქალსური ხდებოდა თანდათან, რადგან, ვისაც რამე ჰქონდა შენახული ბანკებში, თავბრუსხვევით მიბრუნდა იქ, რომ თავის დროზე გამოეტანა, არ იყო ტევა, კუდებს ბოლო არ უჩნდა. ასეთ მიწოლას აბა რომელი ბანკი აიტანდა, ცალიერდებოდა ოქროსაგან სარდაფები, ვალიუტებისგან პორთფელები, და ამას კი გაკოტრება უნდა მოჰყოლოდა. ერთი კიდევ გაჰკოტრდა, დარმშტადის ბანკი, რამაც დიდი პანიკა გამოიწვია, რადგან მის კვალზე იდგნენ სხვა დიდი ბანკებიც. მთავრობა იძულებულია არაჩვეულებრივ ზომებს მიმართოს: საგარანტიო ოქროს დაწევა საიმპერიო ბანკში, ბირჟის დახურვა დროებით, მოთხოვნილ თანხების მხოლოდ მინიმალურ ნაწილის გაცემა და სხ.

ერთებულ შტატებს შვედისთვის, საიმპერიო ბანკის მმართველმა ლიუტერმა ჩამოიარა ლონდონი და პარიზი ამავე მიზნით... ამათ! თუ თვით გერმანელთ არა აქვთ ნდობა თავის ბანკებისა, უცხოელთ რად უნდა ჰქონდესთ? იმართება ბანკში საერთაშორისო მომწესრიგებელ ბანკის კრება, სადაც ერთხმით იქნა აღიარებული აუცილებლობა გერმანიის შვედისა, მაგრამ ეგ კითხვა მთავრობებმა უნდა გადასწყვიტონ.

გადაწყვეტა არც ისე ადვილია. შეერთებული შტატები და ინგლისი, რომელნიც საგრძობლათ არიან ჩათრეულნი გერმანიის ოპერაციებში, აქვთ იქ გაზნეული მილიარდები კრედიტის სახით, მზათ არიან ჩაერიონ და დაეხმარან, მაგრამ საფრანგეთი არაა ისე დამოკიდებული ამ მხრივ და დახმარებისთვის ფინანსურ და პოლიტიკურ გარანტიებს მოითხოვს. ეს კი იწვევს გამწარებას გერმანიაში: შეხეთ, როგორ შევლხსასავით სარგებლობენ ჩვენს გაჭირვებასო. საქმე იქამდის მივიდა, რომ რალმე ბოლშევიკური ფული არ შემოიდეს შინ სატრიალებლათ სავალდებულო კურსით, რაიცა მოასწავებდა იმავე ინფლაციას და ხალხის მეორეთ გაფტკვნას. ეს ხომ დაუხჯელათ არ ჩაუვლიდა მთავრობას, სამოქალაქო ომი მზათ იყო. მთავრობა შედრკა, უარყო ეს ზომა, რომელიც მას ჩააგონა საიმპერიო ბანკის ყოფილმა მმართველმა შახტმა, და, თანახმათ, დღევანდელ

ამაზე ადრე მთავრობა მიმართავს ამერიკის შე-

მმართველის ლიუტერის რჩევისა, გამოაქვეყნა დეკრეტები აუცილებელი თავდარიგისა კატასტროფის თავიდან ასაცილებლათ.

აი, ამ დროს პარიზი ხდება უაღრეს მნიშვნელობის საერთაშორისო თათბირების ცენტრად: აქ არიან ამერიკის და ინგლისის საგარეო მინისტრები სტიმსონი და ჰენდერსონი, გერმანიის კანცლერი და საგარეო მინისტრი ბრიუნინგი და კურციუსი, და თათბირობენ საფრანგეთის მთავრობასთან. ამას უნდა მოჰყვეს ლონდონის კონფერენცია, რომელზედაც მონაწილეობას მიიღებენ ყველა გამარჯვებული სახელმწიფოები. როცა ამ სტრუქტურებს ვწერთ, ჯერ კიდევ არ ვიცით, რა გადაწყვეტილებებს მიიღებენ, მაგრამ საერთო ტენდენცია ეხლაც ცხადია. შესაძლოა იუნგის გეგმას გენერალური ან ნაწილობრივი გადასინჯვა მოეღოს, იმის და მიხედვით. მოისურვებს თუ არა ამერიკა მისდამი ვალების გადასინჯვას — შემცირებას. ჰუვერის მორატორიუმმა ასეთ იმედებს კარები გაუღო ფართოთ.

ყოველ შემთხვევაში, დღეს-დღეობით წეს-რიგშია გერმანიის შველა, მისცემენ თუ არა მას საკმაო კრედიტს კატასტროფისგან თავის დასაღწევად? რას მოსთხოვენ ამისათვის?

არ შეიძლება ითქვას, რომ გერმანიამ, ან უკეთ — მისმა მთავრობამ დიდი ნდობა დაიმსახურა გარეთ. მარტის ნახტომმა — ავსტრო-გერმანიის საბაჟო გაერთიანების ოქმი — ერთბაშად წაშალა შტრეზმანის ამაგი. ევროპა შიშმა შეიპყრო, მას მოელანდა შუა-ევროპის ბლაკი, ძველი გერმანიის მიზანი. საფრანგეთში უნდობლობამ გაიმარჯვა და გერმანია-საფრანგეთის დაახლოების მთავარი ქომაგი ბრიანი დამარცხდა საპრეზიდენტო არჩევნებზე. ბევრს ეცადენ გაეგრილებიათ განურებული ატმოსფერა ყენევაში, მაგრამ ამათ: ავსტრო-გერმანიის ოქმი ჰაავაში გადავიდა განსახილველათ.

მეორეს მხრით, გერმანია არ ეშვება საბჭოთა კავშირს, ანახლებს მასთან მეგობრობის ხელშეკრულებას, რომელშიც ყველანი საიდუმლო სამხედრო მუხლებსაც გულისხმობენ. ამას დაუმარტეთ ახალ სამას მილიონ მარკის გარანტია გერმანიის ხაზინის მიერ იმავე მოსკოვისთვის სხვადასხვა მანქანების შესაძენათ. არავისთვისაა საიდუმლო, რომ მოსკოვი შეიარაღების ციებ-ცხელებითაა შეპყრობილი და გერმანიაც ამისათვის აწვდის მას მანქანებს სესხათ, და ეს მაშინ, როცა მას თვითონ ეჭვირება სესხი! არის გასაკვირი, თუ მას ეუბნებიან ერთ მშვენიერ დღეს ნიუ-იორკის და ლონდონის ბირჟები: თუ შენ იმდენი გაქვს, რომ სხვას ასესხა, ჩვენ არა გვაქვსო?

მაგრამ მთავარი მაინც არ გვითქვამს. გერმანიის მთავრობის რყევა დღეს მარჯვნივ, ხვალ მარცხნივ ერთობ ცვალებადს ხდიდა მდგომარეობას. ბრიუნინგმა იმიტომ დაითხოვა შარშან რაიხსტაგი, რომ სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებულიყო, რა მიიღო შედეგად? პიტლერისტების გამარჯვება, ე. ი. მონარქიის აღდგენა და რევანში, როგორც პროგრამა. შეეძლო ამას ნდობა განემტკიცებია მისდამი? ბრიუნინგი ვერ მიეკედლა პიტლერისტებს, მაგრამ ვერც მოსცილდა მათ. მართალია, ერთ მთავრობაში არ არიან — ამას ხელს უშლის სოციალ-დემოკრატიის მიმხრობა მთავრობისადმი —, ხოლო საქმით კანცლერი ცდილობს ასიამოვნოს მემარჯვენეთ. დასტოვოს შტრეზმანის გეზი დასავლეთისკენ, ხელი გაუხსნას მოსკოვთან ბნელი კომბინაციების მოტრფიალეთ.

ასეთ მერყეობას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა პოლიტიკურ წონათსწორობაზე, რასაც მოხერხებით სარგებლობდენ პიტლერისტები და კომუნისტები. იყო მომენტი, როცა სახელმწიფო გადატრიალება და დიქტატურა თითქო გარდაუვალი ეჩვენებოდა ყველას. ჯერ მარჯვნიდან მოელოდენ მას, მერმე მარცხნიდან, სტალინის ხელმძღვანელობით, რა თქმა უნდა. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ეს ასე ადვილი იყოს, რადგან უძლიერესი პარტია — სოციალ-დემოკრატია — სდუმდა, თუმცა, უქვეყლია, როგორც წინა წლებში, ისე ადვილათ არ დაანებებდა მათ ძალაუფლებას. ასე თუ ისე, დიდი პოლიტიკური კრიზისი მოსალოდნელი იყო, აქედან სახელმწიფოს პრესტიჟი და ნდობა ეცემოდა, როგორც გარეთ ისე შიგნით. ჩვენ არ შევჩერდებით უმუშევრობაზედ, რომელიც, თუ გნებავთ, ნამდვილი ბაზა იყო ავანტურისტულ ელემენტებისთვის. საინტერესოა მხოლოდ ის გარემოება, რომ უმუშევრობას კლება დაეტყო უკანასკნელათ, ეკონომიურ მდგომარეობასაც ცოტა გამოკეთება და მაინც ფინანსური კრიზისი ვერ აიციდინეს! ეს კი იმის მომასწავებელია, რომ პოლიტიკური ფაქტორები დიდ როლს თამაშობენ მასში.

როგორ ფიქრობთ, შეეძლო თუ არა საფრანგეთს ხელი გაეწდვინა უპირობოთ ასეთ გერმანიისთვის? არა, რასაკვირველია, და ამიტომ მისი უმთავრესი მოთხოვნა ალბათ პოლიტიკური სახის იქნება. საფრანგეთს ეჭვირება მის გვერდით მშვიდობიანი, რესპუბლიკანური გერმანია, რომელიც არ განიხრახავს არსებულ ხელშეკრულებათა ძალათ დარღვევას, ხელს აიღებს მოსკოვთან თამაშზე და სერიოზულათ შეუდგება მასთან ერთათ ევროპის მოწყობას და სა-



ერთაშორისო მშვიდობიანობის განმტკიცებას. ამ აზრს იზიარებს მთელი მემარცხენე გერმანია, შეიძლება, ერის უმრავლესობაც. მათ სურთ საფრანგეთთან დაასლოება და მჭიდრო თანამშრომლობა ორივე ქვეყნის საკეთილდღეოთ. ესლა დაეკითხებთ გამოჩენილ მოღვაწეთ, მწერლებს, პუბლიცისტებს თითქმის ყველა ქვეყნისა, ისინიც ერთხმად მოგიგებენ: ევროპის ხსნა შეუძლია მხოლოდ გერმანია-საფრანგეთის მეგობრულ თანამშრომლობასა.

აი, რა საკითხი სდგას პარიზში, რა უნდა გადაწყდეს ლონდონში და რა უნდა შეასრულოს ბერლინში. მოსალოდნელია კარგი ბოლო? უეჭველად, რადგან სხვა გზა არ არის! გერმანიის მიშველება საქირთა მიმშველებელ სახელმწიფოებისათვისაც, უამისოთ მათთაც მოვლით კრახი—სტერლინგის დაცემა საქმაოთ გამაფრთხილებელია—, გერმანიაში ბოლშევიზმის გამარჯვება მოასწავებს ევროპის სხვა სახელმწიფოთა იმავე ცეცხლში გადავარდნას ადრე თუ გვიან, მაგრამ ამას ალბათ ომი წაუსწრებს და მთლად დაამხოვს თანამედროვე ცივილიზაციას.

ამ რიგათ, ინტერესთა ერთ-იგივობა უკარნახებს ატლანტიკის გაღმა-გამოღმა ქვეყნებს პოლიტიკის ერთ-იგივობას. თუ წინეთ კიდევ შესაძლებელი იყო

იმის ფიქრი, რომ ერთი ქვეყანა გაბედნიერებულიყო მეორე ქვეყნის უბედურებით, დღეს ეს მიჩნეულია არა მარტო შეცდომად, არამედ დანაშაულად. თანამედროვე ეკონომიურ-ფინანსურმა ვითარებამ ისე მჭიდროთ გადაჯაჭვა ერთმანეთს დაწინაურებულ ქვეყნების სვე-ბედი, რომ შეუძლებელია ერთი მათგანის დაცემამ დანარჩენებს უგუნებლათ ჩაუაროს.

განა გასაკვირია, რომ სწორეთ ყველაზე მდიდარმა შეერთებულმა შტატებმა აულა გერმანიის გაჭივრებას ალლო? ჰუვერის გამოსვლა უბრალო ფილანტროპიული დეკლარაცია-როდი იყო, არამედ რეალისტური გაგება იმ საბედისწერო შედეგებისა სხვა ქვეყნებისთვის, რომელიც გერმანიის დაცემას უნდა მოჰყოლოდა. ამიტომ, თუ გერმანიის მწარე თავგადასავალი სარძიკვლად ჩაეყარა ახალ საერთაშორისო დარაზმულობას და შეთანხმებას, ამით მოიგებს არა მარტო გერმანია, არამედ მთელი კაცობრიობა.

ერთის გამონაკლისით! მოსკოვი ამას ჩათვლის თავის უბედურებად, რადგანაც მას მოაკლდება ერთი სათარეშო ბაზა—გერმანია, იძულებული თავი დაიხსნას მის მეგობრობისაგან.

რ ვ ე უ ლ ი დ ა ნ

(ნაწყვეტები)

გმი და ხალხი.

ერი რეალობა, ისტორიის პროცესში შექმნილი ძველი ქალდეა, ძველი ეგვიპტე, ძველი ჩინეთი არ იყვენ ერები, არამედ ხალხები, რომელთაც ხელმძღვანელობდენ ძლიერი პირები—გმირები.

ხალხს—არა ერს საკუთარი ნებისყოფა, აზროვნება, სურვილები არა აქვს, რადგან იგი ფორმაციის დაბალ საფეხურზე დგას, რადგან იგი პიროვნება არაა; ამიტომ იგი გმირის სათამაშოა, იარაღია. სულ სხვაა ერი, მას საკუთარი ნებისყოფა და სურვილები აქვს, მას ზევიდან თავზე ვერაფერს მოახვევ, თვითნებურათ ვერ აამოქმედებ.

ერს დამარცხება, უბედურება ამხნევეებს, ახალ ძალას მატებს, ხალხს კი შლის, ანადგურებს. საფრანგეთს 71 წელმა უჩვენა ეროვნული წარმატების გზა, იტალია დამარცხებებმა გააერთიანა, ოსმალეთი კი გამარჯვებებმა მოშალა.

დღევანდელი რუსეთი საუკეთესო მაგალითია. თუ როგორაა შესაძლებელი ხალხთან და ხალხით თამაში, ვინ გინდა, რომ რუსის ხალხს არ ბატონობს დღეს, ყოველი უპასუხისმგებლო, მედროვე, ყოველი, გარდა მისი გულშემატკივარისა, მისი მოამბისა, ის კი დაშლილი, დაბნეული განაგრძობს პირუტყულ არსებობას, იტანს ყოველ გვარ შევიწროებას.

და ეს ვითარება გრძელდება წლები, დახურდავდა მეორე ათეული.

რაა ამის მიზეზი?—ის რომ რუსის ხალხი ჯერ კიდევ არ ერობს, პიროვნებათ არ ქცეულია, ამიტომ მას საკუთარი ნებისყოფა, სურვილები აკლია, ის გმირს უცდის, მას გაყვება, მის ბრძანებას დაემორჩილება.

ვინ იქნება ეს გმირი, როდის მოვა იგი?—ძნელი გამოსაცნობია; სურპრიზი კი მოსალოდნელია.

მასის ბუნების გაგება ძნელია, რადგან იგი უბუნებოა, იგი როგორც ანარქისტია, ისე მონარქისტია, როგორც რევოლუციონერია, ისე რეაქციონერია, ის უსაზღვროა როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, რადგან მისი მოქმედება ბრმაა, არა შინაგან სტიმიულებით გამოწვეული.

რუსის ხალხს ბოლშევიზმი არც მოუწონებია და არც დაუწუნებია, მან ის ინერციით «მიიღო» და ინერციითვე «მიყვება» მას. მოწონება და დაწუნება კრიტიკული შეფასების შედეგია, კრიტიკული შეფასება კი მხოლოდ ერს, ხალხს პიროვნებად ქცეულს შეუძლია.

საქირთა მძლავრი მუჯლუგუნი ინერციის მსვლელობის შესაცვლელათ; ეს მუჯლუგუნი ომი იქნება, რაც ჩვენის აზრით აუცილებელია.

სულ სხვა ვითარებაა ჩვენში, აქ ჩვენ ერთან გვაქვს

საქმე; ქართველმა ერმა ბოლშევიზმი კრიტიკულად უარყო და მას აქტიური ბრძოლა გამოუცხადა. რა წუთს მოსკოვის ხიშტები თბილისს მოსცილდება, იმ წუთსვე საქართველოში ბოლშევიზმი დაეცემა. რადგან ერი მონობას ვერასოდეს აიტანს (ბოლშევიზმი ხომ ნამდვილი ყოველმხრივი მონობაა—ეკონომიური, პოლიტიკური, უფლებრივი, მორალური). განა წარმოსადგენია, რომ საბჭოების რეჟიმი აიტანოს ევროპის რომელიმე კულტურასანმა ერმა (ფრანგებმა, გერმანელებმა, ინგლისელებმა), რასაკვირვებელია, არა. თავისუფლება ერისათვის ისეთივე აუცილებელი რამაა, რაც ადამიანისათვის ჰაერი.

დეკარტმა სთქვა:—ვაზროვნებ, მანსადამე ვარსებობ; მე ვამბობ: ჩვენ ერი ვართ, მანსადამე ვაზროვნობთ; ჩვენ ვაზროვნობთ და ამიტომ ჩვენი ბედი ჩვენ ხელშია, გარეშე ძალის დაცემის შემდეგ, ჩვენ გზა არ შეგვეშლება, ჩვენ სწრაფათ მოვინახავთ არსებულს და საარსებოს, ფართოთ გაგვეშლება შემოქმედების და წარმატების გზა. ერი ყოველთვის თავის თავს ეკუთვნის, ხალხი კი არასოდეს.

საერთაშორისო თუ ადგილობრივ ძალებთან ქიდილში ქართველი ერი გამარჯვებული გამოვიდა, ის რთულ პიროვნებათ იქცა და ძლიერამოსილათ განაგრძობს თავისი ბედის აქტიურად გაქედვას.

«არ გავცვლი მე ჩემ სამშობლს სხვა ქვეყნის სამთხვედა».

სამშობლოს დაკარგვას ვერ შეედრება ვერავითარი დაკარგვა. სამშობლოს სიყვარული არაა უბრალო სანტიმანტალობა. ეს გრძნობა უდიდესი პრაქტიკული მოვლენაა. მხოლოდ სამშობლოში ეძლევა პიროვნებას პრაქტიკული ნიადაგი თვითწარმატებისა, მატერიალური და მორალური პირობები საკუთარი ნიჟის და უნარის მაქსიმალურათ გამოყენებისა.

სხვისას ყოფნა, სხვის კარ-მიდამოზე ატუზვა დროებით, შესაძლებელია, გამართობელიც იყოს, მაგრამ საშუალოთ ეროვნულ კერას გაცილება დიდი ანორმალობაა, რაც არ დაყოვნებს შესაფერი შედეგები გამოიღოს. ავიღოთ, მაგალითად, ებრაელობა. ებრაელობა უნიკურიერსი ერია, უნაყოფიერესათ მომქმედი ცხოვრების ყოველ დარგში—მეცნიერება, ფილოსოფია, ხელოვნება, მატერიალური სიმდიდრეც მის ხელშია დაგროვილი. მიუხედავათ ყოველივე ამისა, ებრაელების მდგომარეობა არსად სახარბიელო არ არის. ეს მათ შეიგნეს და გადაწყვიტეს «სამშობლოს ყიდვა», დიდი ფული იქნა გადადებულ პალესტინაში მიწების შესაძენათ და იქ ებრაელ-

თა სამეფოს შესაქმნელად, მაგრამ სინამდვილედ ცხადყო, რომ ყოვლის შემძლე ოქრო უძლურია «სამშობლო იყიდოს».

უბედურია ის ერი, რომელმაც სამშობლო დაკარგა, არ არის განძი ქვაყანაზე, რასაც შეეძლოს ამ დანაკარგის ანახლაურება, ამიტომ პოეტის სიტყვები «არ გავცვლი მე ჩემსა სამშობლოს სხვა ქვეყნის სამთხვედა» უღრმესი პრაქტიკული ფილოსოფიის გამოხატულებია, რომ სამშობლო არაფერზე გაცივლების და რომ მას უნდა შეეწიროს ყოველივე.

ტექნიკა და მორალი.

თანამედროვე ცივილიზაციის უკუღმართობა ტექნიკის მეტისმეტ განვითარებაშია. ტექნიკის განვითარებამ ძლიერ შეამცირა დრო და არე და მათ ახალი პროგრესული შემცირებებით ემუქრება.

კანტმა სთქვა: დრო და არე აზროვნების ფორმებიაო. ჩვენ ვამბობთ: დრო და არე ყოფნის პირობაა (დრო და არე ერთი და იგივე ცნებაა,—დრო იგივე არეა დინამიურათ განხილული და არე იგივე დროა განხილული სტატიურათ).

ტექნიკურათ თითქმის შესაძლებელი ხდება დღეს ერთი დაკვრით უდიდესი საკაცობრიო კატასტროფის გამოწვევა (ავიაცია, ქიმიკა, რადიო-ტალღები წარმოუდგენელ საიდუმლოებათა მატარებელია). ამის საწინამდეგოდ კი პროპორციულათ არ ვითარდება საკაცობრიო სულისკვეთება. ამაშია თანამედროვე ცივილიზაციის უდიდესი ტრადედია. ტექნიკა შლის დროს და არეს, ბოროტების ზღუდეებს და ახალ საფარს არ იძლევა და ვერც მოგვცემს. ტექნიკა ტექნიკით არასოდეს დამარცხდება. სხსა «ახალ სულისკვეთებაშია». უნდა შეიქნეს ეს სულისკვეთება. ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ადამიანების დანიშნულება ურთიერთ განადგურებაში კი არაა, არამედ ურთიერთ დახმარებაში, რომ ყოველ პიროვნებას, ერს, აქვს უფლება არსებობის და წარმატების და რომ ეს უფლება წმიდაა—წმიდაა, უხენაესია.

ასეთ სულისკვეთების შექმნისათვის და მის შესაფერის კონკრეტულ ფორმებში ჩამოყალიბებისთვის უნდა იმუშაოს ყველამ, ვისაც სურს ადამიანის დანიშნულება პირნათლათ შეასრულოს. თუ დღევანდელ ტექნიზაციას, საკაცობრიო მორალურმა განვითარებამ არ გაუსწრაწინ, მსოფლიოს პერსპექტივა ვერ იქნება სახარბიელო.

მაგრამ გვწავს, რომ აზრი დასძლევს უგზურებას და ტექნიკური შესაძლებლობანი კაცობრიობის საკეთილდღეოთ იქნება გამოყენებული.

ილია ნუცუბიძე.

მ რ ნ ტ ე კ კ ი დ ა კ ა ვ უ ლ ე ტ ტ ი

(ვატიკანისა და ფაშისტების დავისა გამლ)

შექსპირის მიერ ამ უკვდავყოფილი გვარებით, როგორც ვიცით, აღინიშნებიან ერთმანეთზე წაიდება და გაკაპასებული შუღლი, ხოლო წითელსალათა გარიბალდელების დარტყვით პაპის სამეფო პეტრეს ბაზილიკაში რომ ჩამეწყვდა, ზემორე თქმუ-

ლება ბევრ შემთხვევაში ვატიკანისა და კვირინალის დაპირისპირებამ შესცვალა: მაგრამ ფაშისტურმა გადატრიალებამ თვით კვირინალიც ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა, რომ 1870 წელს «მონათლულ» სახელწოდებას ერთიანად გამოაცალა შინაარსი და



ამგვარად ისევ «რომეო და ჯულიეტას» ახირებულნი ოჯახები მოგვავიანა. მართლაც ესლა ვის გაუფლის ჰპრათ კვირინალის დასახლება, როცა კონფლიქტს ვატიკანის წინააღმდეგ უძღვება იტალიის ამქამინდელი ხელისუფლება სწორედ კვირინალის გარეშე და—ვინ იცის—იქნება მისი სურვილის წინააღმდეგაც.

პაპის საყდარსა და ფაშისტურ მთავრობას შორის გულწრფელ განწყობილებას არსებითად არას დროს არ ჰქონია ადგილი. ორივე მხრიდან მხოლოდ ცდა იყო, დამთავრებულიყო ის მოყვინებული მდგომარეობა, რომლისა გამოსივრებით სამსამილიონიანი სამწყსოს წინამძღვარი რათა ხანია მოხალისე პატიმრობას მისცემოდა, ხოლო თავისუფლად მოძრავეი გაერთიანებული იტალიის მეფეს—ამ «ტუსკანის» შეჩვენებისაგან თავი ვერ დასწყია!

იტალიის თანამედროვე რეჟიმის ნიშანდობლივ თვისებას გარეგანი ეფექტების მოხდენის სურვილიც შეადგენს სხვა მის თეატრალურ მხარეებთან ერთად. მუსოლინიმა კარგად იცოდა, რანაირ «აქციას» ჰვეშქაშობდა თავის პარტიას, როდესაც 1929 წლის 11 თებერვალს არქიბაზილიკა ლატერანის სასახლეში დასტურს აძლევდა 50 წლის უმძირახების შეტრეების აქტს; ამით მან ბევრნი გაანაწყენა. ბევრნი გააოცა, ზოგს კი სიამოვნება არგუნა და აფიქრებინა, რომ ფაშისტების წინამძღოლისათვის არაფერი ყოფილა დაუძლეველი. თუ ინგლისის პარლამენტზე იტყვიან, რომ მას ყველაფრის გაკეთება ძალუძს, თვინიერ იმისა, რომ მამაკაცი დედაკაცათ აქციოს და დედაკაცი მამაკაცად.—აწინდელ იტალიაში ზოგიერთ ნერვებაწულ გვამს ვერკი დააჯერებთ, რომ ასეთი ოპერაცია «დუხესათვის» საძნელე იყოს!

ლატერანის ხელშეკრულობით მუსოლინიმა ფაშისტური წესწყობილების ზოგი მტოკავი მხარეები გამაგრა, ამ საქმით მან ასე თუ ისე სიმშვიდე შეიტანა ისეთ წრეებში, რომელთა წარმოდგენით ფაშისში რაღაც—გთქვათ ასე—გადმობრუნებულ ბოლშევიზმს უფრო წააგავს. ვიდრე ვეროპისათვის ჩვეულ კულტურულად ჩამოსხმულ პოლიტიკურ ორგანიზაციას.

ამ სტრქონებს მიზნათ არა აქვს ფაშისმის სოციალპოლიტიკური ბუნების გამოკლევა და თუ მე ზოგიერთ მომენტს მაინც ვასახლებ, მხოლოდ იმიტომ, რომ შეძლებისამებრ ნათელვყო დატრიალებულ მოვლენათა დედა პაპრი.

ცნობილია, რომ ფაშისში უკუაგდებს დემოკრატიობასა და პოლიტიკურ თავისუფლებას, დღევანდელ პარლამენტარზმის განუყრელ თვისებას რომ შეადგენს. ამ მხრივ ის ბოლშევიზმის სრულ იდენტობას შეიცავს; მის მიერ აგებული სახელმწიფო არის თვითგამგე და განუსაზღვრელი მსაჯული ცხოვრების ყველა მხარისა, მწვრთნელი და გამძღოლი ინდივიდისა აკვნიდან დაწყებული სულის განტეგებამდის. თავისთავად ცხადია, რომ ამგვარი პოლიტიკური ფილოსოფიით გამსჭვალული პარტია არ მოითმენს საწინააღმდეგო სახელმწიფოებრივ დოქტრინას, არ შეიგუებს სხვანაირათ მოპაზროვნეთა თანამშრომლობას და იმ შემთხვევაში, უკეთუ ხელთ

იგდო მართველობის საყე, ძალდატანებით გააქრობს მისთვის უსურველ მოვლენებს.

1923 წლიდან იტალიაში აღიკვეთა ყველა პარტიები, გარდა «სახალხო პარტიისა», რომელიც მცირე ხანს ჯერ კიდევ ითქვამდა სულს; სხენებული პარტია თავის არსებით კათოლიკური იყო და, როგორც ასეთი, რასაკვირველია, ვატიკანის სრული გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ფაშისტურ რვეოლუციის შემდეგ ამ პარტიის ორგანიზაციებში შიგადაშიგ თავს აფარებდენ წესწყობილების უქმყოფლონიც და «სახალხო პარტიაც» აი სწორეთ ამ გარემოებამ იმსხვერპლა. მუსოლინიმა ჩვეულებრივი სიფიცხით მიჰყო ხელი მის განადგურებას, ამას მოჰყვა ზოგიერთ ხელმძღვანელთა დაპატიმრებაც, ხოლო უკანასკნელთა შორის მღვდლებიცა და თვით მისიონერებიც ერინენ. ყველაფერი ეს ჩატარდა ვატიკანის მხრივ ხმაამოუღებლივ და აღინიშნა, როგორც მორიგი რეპრესია დიქტატორული მართვა-გამგეობისა. დროთა სვლამ შეანელა «სახალხო პარტიის» დარბევის შობაქულიება, ხოლო ეკლესიას საკომპენსაციოთ რელიგიური ასოციაციების დაარსების ნებართვა მიეცა იმ სახელწოდებით—*l'azione cattolica*—რომელიც ეხლანდელ კონფლიქტისა გამომთელს ქვეყანაში ხმაგავარდნილია. როგორცა სხვევიათ კათოლიკურ ეკლესიის ზედამხედველობის ქვეშ მყოფ ორგანიზაციებს, *azione cattolica*-მ სულ მალე ისე გაიწია და გაძლიერდა, რომ წვერთა რიცხვითა და შესაძლებლობის უნარით ბევრ ადგილას თვით ფაშისტურად შეკავშირებულ წრეებს ექიშებოდა, განსაკუთრებით კი მოზარდთაობის შეკავშირებაში. ხელისუფლება ჰხედავდა, რომ მნიშვნელოვანი ნაწილი ახალგაზრდობისა სულ სხვა ჯურის მცნებებს ითვისებს; იმ დროს, როცა რეჟიმის მიერ ყველაფერი იმისკენ არის მიმართული, რომ მოზარდთაობაში უკიდურესი ნაციონალისტური სულისკვეთება გააღვივოს, მის პარალელურათ აქტიურად მომქმედ როლში გამოდის კათოლიკური ეკლესია და ამავე თაობას ინტერნაციონალურს, ანუ უკეთ, ზენაციონალურ სწავლებას უნერგავს.

ფაშისტები დღემუდამ იმის ოცნებასა და ცდაში არიან. რომ სამშობლო თავისი იხილონ—მუსოლინის თქმით—«განდიდებული, როგორც ხმელეთზე, ასევე ზღვებზე», სახელმწიფო დაუტყრომელ სამზადისშია, უკიდურესათა ხარჯავს ენერგიას და ნივთიერთ არაფერს ჰზოგავს იმისთვის, რომ იტალია იმპერიათ აქციოს მსგავსად ძველი რომისა, და ამავე დროს კი მის გვერდით ბავშებს შეპარებული ხმით მეთოდურად უწევთავენ ყურში, რომ მათი ფიქრებიცა და მოქმედებანიც უნდა მიიმართებოდენ «ქრისტეს ვიკარის» ტახტის დაცვისა და განგოზისათვის. *L'azione cattolica* ამრიგად კონდუიტში მოჰყვა, მისი მიმართულება სახელმწიფოს დამასუსტებელ ფაქტორად გამოცხადდა, მასში თავმოყრილი ხალხი კი ფაშისტურ გეგმების ხელისშემწეულად, საჭარო გახდა უფრო ბეჯითი თვალისდევნება და ხელმოსაქიდ საბაბის ძიება, რათა საზოგადოების ლიკვიდაციას ზედმეტი ახმაურება და დიპლომატ-



ური გართულება არ მოჰყოლოდა. მიზნამაც მალე თავი იჩინა, როგორც ყოველთვის ხდება ამ შემთხვევაში: განგაში ასტეხა აქაურმა—ბოლშევიკების ქარგონით რომ ეთქვათ—პროფკავშირების განხეთქილად il lavoro fascista-მ, სადაც სენსაციური ცნობა გამოკვეყნდა azione cattolica-ს ინტელექტუალური მეთაურობის, რომ ეს ორგანიზაცია ეწევა ანტიფაშისტურ მუშაობას, ხოლო ტონის მიმცემად გამოდიან ის უჩინრათ მომქმედნი ყოფილ «სახალხო პარტიის» ხელმძღვანელები და წევრები; ასე ამუშავებულ იქმნა «საზოგადოებრივი პაზარი» და ამან კი არ დააყოვნა მთავრობის ჩარევაც; რაიცა გამოიხატა azione cattolica-ს მთელ იტალიაში აკრძალვა, გარდა ის ეკლესიური კავშირი ისე ჩუმად არ ჩაეხვეწა საფლავში, როგორც გამოანგარიშებული ჰქონდათ მის წამქცევლებს: მთარობის ადმინისტრაციული განკარგულება დიდ პოლიტიკურ მოვლენათ გარდაიქცა და მისი ნახმევი მთელს ქვეყანას მოედო. «სახალხო პარტიის» დაბრუნების დროს ჩუმად მჯდომმა პაპმა ეს ამბავი ვეღარ აიტანა და თვითონაც გაემზადა საბრძოლველად, მან გამოსცა სპეციალი ენციკლიკა, მრისხანე და შემშუსვრელი; L'osservatore Romano-ში გამოკვეყნებული ენციკლიკის ტექსტი მმ გვერდიან წიგნაკს უდრის. ამ წერილის შედგენის დროს ჯერ კიდევ არ არის ფაშისტური მთავრობის პასუხი ენციკლიკაზე, მაგრამ მწვევე პოლემიკას ორივე მხარე მისდევს. პაპს დუნიის ყველა კუთხიდან მოსდის თანამგრძობის და ქვეშევრდომობის დეპეშები და ესენი რასაკვირველია უმალვე იბეჭდება ვატიკანის ოფიციალ გამომცემაში, ამავე დროს ფაშისტური პრესასაც აქვეყნებს «დუჩეს» სახელზე მოწერილ ამგვარივე გრძობების გამომხატველ ბარათებს... ფაშისტებისაგან. ფაშისტური გაზეთები უსაკვეთურებენ პაპს სხვათაშორის იმასაც, რომ მან ყველა ზომა მიიღო უცხოეთში გაეფინა მათი შინაური (?) უთანხმოება და მასსონებსა, სოციალისტებსა და საზოგადოთ ფაშისტური იტალიის დაუძინებელ მტრებს შემთხვევა უბოვა, ავირნ მათ მიერ ათვალისწინებული სახელმწიფო. შემთხვევა ჰქონდა ამის თაობაზე შევკითხებოდი L'osservatore Romano-ს რედაქციასთან ახლო მდგომ მღვდელს და აი მისი სიტყვები: სამწუხარაა, რომ სერაიოზულსა და პარინციპალურ საკითხში მოპირდაპირე იაფფასიან პოლემიკას მისდევს; ჩვენ რომ მათ ავყვეთ, შეგვეძლო კითხვა ასე შეგვებრუნებინა: რა უმჯობესია, მასონების თანაგრძობა თუ კომუნისტებთან ალიანსიო!?

ასეთია ორიოდ სიტყვით ამ შეტაკების ისტორია, ამ ქამად ძნელია გამოცნობა, თუ რა სახეს მიიღებს ეს ჯერხობითი სასტიკი დავა, ან რას მოიცემა აწ დაწყებული დიპლომატიური გამოლაპარაკება, კომპრომისი დაბოლოს გამოინახება; ამის ნიშნებს იძლევა იტალიური ხალხის. სულიერი განწყობილება ერთის მხრით და იტალიისავე სამღვდლოების ტაქტიკა მეორეს მხრით. მთავრობაცა და ვატიკანიც საფიქრებელია ამ გარემოებას გაუწევინ ანგარიშს. მორწმუნე იტალიელს არ უნდა სამღვდლობასთან ბრძოლა, თვით სამღვდლოებაც ცდილობს

გააქარწყლოს ენციკლიკის მრისხანე შინაარსი. ინტერესს არ არის მოკლებული ერთი ეპიზოდი: კონფლიქტი მოხდა Carpus Dominus-ის დღესასწაულებში, როცა ტრადიციულად იმართება პროცესიები, წმინდა ნაწილები. პაპმა ნიშნად პროტესტის აკრძალა ეს პროცესიები, ისევე როგორც ევქარისტული კონგრესი, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონოდა ქალაქ ბოლონიაში. მიუხედავად ამისა, ხალხი მაინც ჰმართავს პროცესიებს: სამხრეთ იტალიის ერთ პატარა ქალაქში ხალხი მიადგა ეპისკოპოსის სახლს და მოითხოვა პროცესიის გამართვა, მცირე ყოყმანის შემდეგ ის დათანხმდა, ხოლო ძვირათ კი დაუჯდა: პაპის ბრძანებით გადაყენებულ იქმნა, მეორე შემთხვევაში კი ვატიკანი დათმობაზე წავიდა: ნეაპოლის კარდინალ-არქიეპისკოპოსმა შეუთვალა პაპს, ან პროცესიების მოწყობის ნება დამართო, ან გადამაყენეთო და... ნეაპოლში პროცესიები იმართება პრეფექტისა და სხვა ხარისხიანთა მონაწილეობით!..

ხუმოთ მოთხრობილ ამბების გამო ზედმეტათ არა ვთვლი წერილი დავამთავრო ერთი ფაქტის აღწერას, რასაც თუმცა არსებითი კავშირი არ აქვს მოთხრობილ საგანთან, გარდა ჩვენთვის უფრო საინტერესო და ყურადსაღები უნდა იყოს: ყველამ იცის, რომ იტალიის ბოლო დროინდელი პოლიტიკა მთლიანდებლად დაადგა რუსოფილურ გეზს. მართალია, აქ პირველ ხანებში ერთგვარათ თითქოს ერიდებოდათ თავის პოლიტიკურ ანტიპოდებთან საქმის დაქერა, მაგრამ მოიბოდიშებდნენ იმით, რომ იტალიამ სხვებზე გაცილებით გვიან დაიწყო საბჭოებთან ურთიერთობა; აქაური გაზეთები აღნიშნავდნენ, რომ ფაშისტური იტალია მოწოდებულია იქონიოს საბჭოთა რუსეთთან საეკონომიკურ მიმართება საქმის ნიადაგზე, რომ სხვაგვარი კავშირი იტალიას რუსეთთან არ აქვს და არც უნდა ჰქონდეს; იტალიელების ჰზრით ამერიკა. ინგლისი და გერმანია ყოველმხრივ ესმარებიან საბჭოთა კავშირს და წარმოიდგინეთ, ამ თავის მომავალ თავდამსხმელს იარაღსა და ომისათვის საჭირო სხვა მასალასაც აწვდიან. მერმე კი ქამთა სვლაში და მოგების გამოთვლაში ეს «სტატისტიკური გამოკვლევა» შეეყირავდა. ვინაიდან მართლა რომ სოფისტური არგუმენტების მოშველვება აუცილებელი ხდება იმის დასამტკიცებლად, რომ იტალიის მიერ საბჭოთა კავშირისათვის მიყიდული წყალქვეშა ნავები, რომელნიც შავზღვაში უკვე დაცურავენ, კულტურისა და ყოვლად სამშვიდობო მიზნების გარდა არაფერს ემსახურებიან! ისიც გამოსარკვევია, თუ რა მასალათს ეწევა აი სწორეთ ესლა რუსეთში მყოფი იტალიური მსხვილი ინდუსტრიისა და ტექნიკისების დელეგაცია!

საგამოდის, რომ არაფერი ამგვარის ჩადენა არ ესურვებოდათ, მაგრამ სხვები ისეთ მდგომარებასა ჰქმნიან, რომ ძალაუვნებურათ ამათაც ითრევენ! ანდაზისა არ იყოს: კულდავ ჩემო საყვარელო, გუთნის მაძუებუგებელო! არც ასე მგზალისება, ძალათ მაძუებუგებენო!...

ასეთ ამბების შემყურე ქართველი პოლიტიკოსი შესაფერ დასკვნას გააკეთებს: მომავალს ჩვენ



მინცადამაინც უიმედოთ როდი ვუჭვრეტთ ამიტომ არც იარაღს ვყრით. არც იალქნებს ვუშვებთ! თვალს კი ვადევნებთ, საიდან კბერავს წინა ქარი და საიდან უკანა!

არც ის უნდა იყოს ინტერესს მოკლებული ჩვენთვის, რომ მიმდინარე წელს იტალიის პრესაში არაფერი დაწერილა ბოლშევიკების მოქმედებათა შესახებ.

თითქოს მათი საბრძანებელი ზღვას გადაეყლაპოს. ერთადერთი გამონაკლისი არის იტალიური ასოებით აწყობილი ვატიკანის ოფიციალი ორგანო L'osservatore Romano, რომელიც სისტემურად იძლევა ცნობებს ერთი და იმავე სათაურით: ბოლშევიკების უღელქვეშ...

რ. ინგილი.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ც ი ფ რ ა ბ ი თ

(ცდა ჩვენი ქვეყნის გზავნილს მკურნალობის მიმდინარეობის)

(დასასრული)

ვეცადოთ სხვა მხრივთაც მიუდგეთ ამოცანის გამოცნობას. თუმცა არც ეს გზა იქნება თავისუფალი «მეჭანიკობის». მაგრამ, შეიძლება, მან ის რწმენა მოგვცეს, რომ ბ-ნ აფხაზის გამონაგარიშება ძალიან შორს არ უნდა იყოს სიმართლევად.

აქაც დაგვეტირდება რუსეთის ნორმების მოხმარება. ამ ნორმების სარგებლობა, იქნებ, არც ისეთი დიდი შეცდომა იყოს, რადგან რუსეთიც, როგორც საქართველო. უღარესად აგრეკულტურული ქვეყანა არის; ამასთანავე საქართველომ სრული 117 წელიწადი განიცადა რუსეთის კანონ-მდებლობის და პოლიტიკის გავლენა; ამ გარემოებამ, უეჭველია, ამ ორს სახელმწიფოში დაბადა, ბევრ შემთხვევაში, მიმგზავსებული პირობები. ყველა ამის შედეგათ ის იქნებოდა, რომ სრულიად რუსეთის საშუალო სტატისტიკური ნიშნები, საქართველოს შესწორების შეტანით, შეიძლება გავრცელებული იყოს საქართველოზეც.

რუსეთის ეროვნული შემოსავალი, თითო სულზე, 1913 წელს, ასეთი იყო:

სოფლის მეურნეობიდან	48 მან. 34 კაპ.
მრეწველობიდან	22 მან. 03 კაპ.
დანაშთენ წყაროებიდან	30 მან. 98 კაპ.

სულ თითო სულზე 101 მან. 35 კაპ.

(პროფ. პროკოპოვიჩი).

ამ გამონაგარიშების საქართველოზედაც გავრცელების შესახებ, საქართველო გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოებანი. საქართველოს წლიური შემოსავალი სოფლის მეურნეობიდან, ცოტათ თუ ბევრად სარწმუნო გამონაგარიშებით, დამყარებული ოფიციალურ ცნობებზედ, უდრიდა 1914 წელს= 124.540.000 მანეთს.

ამის კვალთაზე ჩვენში თითო სულზე, ეს შემოსავალი მოდის, დაახლოვებით, 51 მანეთი.

როგორც ვხედავთ ეს ჯამი უფრო მაღლა სდგას რუსეთის საშუალო ნორმაზედ (48 მ. 34 კ.). სწორედ ასეც უნდა იყოს, რადგან ჩვენებური სოფლის მეურნეობა უფრო ინტენსიურ და სპეციალურ კულტურას მისდევს, ვიდრე რუსეთი, სადაც ისეთი გუბერნიებიც არიან, რომელთა სოფლის მეურნეობა ძლიერ დაბალ საფეხურზედაა შეჩერებული და ამცირებენ სრულიად რუსეთის საშუალო შემოსავალს.

რაც შეეხება «მრეწველობის» შემოსავალს, სადაც სამთო-მადნო წარმოებაც შედის, აქ საქართველო უფრო დეტალური განხილვა.

რუსეთის მთელი ეკონომიური პოლიტიკა იმაზედ იყო აშენებული, რომ ჩვენისთანა «განაპირა» ქვეყნებში ფეხი არ მოეკიდნა მრეწველობას; ეს უკანასკნელი მხოლოდ და მხოლოდ «შიდა» რუსეთში უნდა აყვავებულიყო.

ადგილობრივი მართვა-გამგებლობა, ფინანსური და ფისკალური ზომები, სატარიფო და საბაჟო პოლიტიკა და სხვა მძიმე პოლიტიკური ხერხები—ყველა ეს ისე იყო მომარჯვებული, რომ «განაპირა» პროვინციები და «ინოვაციები» მწველელ ფურად გამხდარიყვნენ «ნამდვილ და თავანკარა რუსეთის» საბედნიეროდ და სადიდებლად. ამიტომაც, რომ საქართველოს შემოსავალი «მრეწველობის» დარგში უფრო ნაკლებია რუსეთის ნორმაზე (22 მან. 03 კაპ.).

ჩვენში არ არსებობს მძიმე და მსხვილი ინდუსტრია; თუ არსებობს რამე—მხოლოდ წვრილი მასტაბის. საკუთრივ წვრილი მრეწველობა რუსეთში უდრიდა 16 პროც. მსხვილისას (პროფ. პროკოპოვიჩი); ეს იყო 1912 წელს. ესე იგი იმ დროს, როდესაც ძველამოსილი მინისტრის ვიტტეს ღონისძიებანი რუსეთში მძლავრი ინდუსტრიის დასამყარებლად თავის კულმინაციურ სიმაღლეს აღწევდენ.

თუ ზემოდ მოყვანილ პროცენტს მივიღებთ, ვნახავთ, რომ 22 მან. 03 კაპ. მრეწველობის შემოსავლიდან, წვრილ მრეწველობაზე მოდის მხოლოდ 3 მან. 53 კაპ.

ვნახოთ, რა ხდებოდა ფაქტიურად ჩვენში ამ დარგში, 1914 წელს:

- 1) სამთო-მადნო მრეწველობამ მოგვცა 12.100.000 მან. თითო სულზე (დაახ.) მოდის 5 მან.
- 2) ტყის წარმოებამ 9.000.000 მან. თითო სულზე (დაახ.) მოდის 3 მ. 30 კ.
- 3) წვრილმა მრეწველ. (აღმ. ცნობებით) 12.790.000 მან. თითო სულზე (დაახ.) მოდის 5 მ. 30 კ.

საერთოდ, მრეწველობამ, თითო სულზე 13 მ. 60 კ.

ჩვენ ბუნებრივად მიგვაჩნია, რომ ჩვენში წვრილ მრეწველობიდან შემოსული რაოდენობა (5 მ. 30 კ.) უფრო მაღლა სდგას რუსეთისაზედ (3 მ. 53 კ.) ჯერ ერთი იმიტომ, რომ ცნობილია რა მცირედ ხდებო-

და ჩვენებური შეფასებანი ადმინისტრაციის აგენტების მიერ; ამისა გარდა, ისიცაა მისაღები სახეში, რომ მრეწველობის დარგში, ყველა არ იყო ჩვენში, მაინცა და მაინც, წვრილი ხასიათის წარმოება...

როგორც ვხედავთ, საერთოდ კი «მრეწველობიდან» შემოსავალი საქართველოში (13 მ. 50 კ.) გაცილებით უფრო მცირეა, ვიდრე რუსეთის (22 მან. 03 კაპ.).

დანაშთენ წყაროებიდან რუსეთის შემოსავალი ყოფილა: სულზედ, 30 მ. 98 კ.

ამ დანაშთენ წყაროებს შეადგენს: მოსახლეობის სამუშაოდ გარეთ წასვლა, მოჯამაგირობა, ქირების აღება, წვრილი ვაჭრობა, ხელფასობა და ის შინა მრეწველობა, რომელიც არ შედის საზოგადოთ მიღებულ «მრეწველობის» ნუსხაში და სხვ.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ამ მხრივ, ამ «დანაშთენ» დარგებში, საქართველოს ეკონომიური პირობები დიდს განსხვავებას წარმოადგენდენ—რუსეთთან შედარებით.

ჩვენი ხალხის სამუშაოდ გარედ წასვლა თან და თან მატულობდა; იგი მით უფრო იზრდებოდა, რაც უფრო თვალსაჩინოდ მატულობდა აგარაული სიციფროვე.

ჩვენებური მუშის «არტელები» არამც თუ მხოლოდ საქართველოს ქალაქებს, მაღარობსა და პორტებს მიაწყდენენ,—საზღვარ გარეთაც გამოჩნდენ მათი ავანგარდები, როგორც მაგალითად, რუსეთის შავი ზღვის პორტებში (ოდესა), ისე დასავლეთ ევროპაშიც (მარსელი); გარდა ამისა, იჯარების აღებით, გაქირავებით, წვრილი ვაჭრობით და მრეწველობით გლენურ ბიუჯეტის გამაგრება—ეს საყოველთაო ფაქტი იყო ჩვენში. ყველა ეს უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ჩვენში დანაშთენ წყაროების შემოსავალი დაბლა არ უნდა იდგეს რუსეთისაზედ. თუ დავაკვირდებით თითო სულზე გამოანგარიშებულ რუსეთის ცხრილს, შევამჩნევთ, რომ «დანაშთენი» წყაროების შემოსავალი თითქმის ნახევარია სოფლის მეურნეობიდან და მრეწველობიდან მიღებულ შეერთებული ჯამის. საქართველოსათვისაც რომ ასევე გამოვიანგარიშოთ, დავინახავთ, რომ შეერთებული ჯამი მოგვცემს: 51 და 13 მ. 60—64 მ. 60 კ. ნახევარი ამ რიცხვისა უდრის 32 მან. 30 კაპ. ეს რაოდენობა შორს არ არის მანვდ, რაც ამ დარგის შემოსავალს შეადგენს რუსეთისათვის.

ჩვენ არ გვინდა ვსთქვათ, რომ ასეთ არითმეტიკულ მანიპულიაციას რაიმე ეკონომიური კანონი მოსდევდეს; ჩვენ ვგსურდა მხოლოდ იმ ფაქტზედ მიგვეთითებინა, რომ ამნაირის ანგარიშითაც მიღებული ქართული ნორმა, ახლო უდგება მას, რაც ზევით სხვა საშვალეობით მივიღებთ.

ამ მოსახრებებით ჩვენ არ გვეონია, რომ შეცდომას ჩავიდნენ, თუ «დანაშთენ წყაროების» შემოსავალს საქართველოსათვის მივიღებთ რუსეთის ნორმას=30 მან. 98 კაპ.

ამნაირად ჩვენი ქვეყნის და რუსეთის ყოველწლიური ეროვნული შემოსავალი (1913 წლისთვის), თითო სულზედ, ასე წარმოგვიდგება:

დარგი შემოსავლისა	საქართველო	რუსეთი.
სოფლის მეურნეობა	51 მან.	48 მ. 34 კ.
მრეწველობა	13 მ. 60 კ.	22 მ. 98 კ.
დანაშთენი წყაროები	30 მ. 98 კ.	30 მ. 98 კ.
სულ თითო სულზე	95 მ. 58 კ.	101 მ. 35 კ.

თუ თითო სულზე გამოანგარიშებით საქართველოსთვის მივიღებთ 95 მან. 58 კაპ., ამ შემთხვევაში მთელი ეროვნული შემოსავალი, 1913 წ., უდრიდა 235.795.860 მან. (2.467.000×95 მ. 58 კ.), (1913 წ. საქართველოს მოსახლეობა იყო 2.467.000 ორთ. სქესისას).

ეს ჯამი დაბლა სდგას მანვდ, რასაც დ. აფხაზი გვიჩვენებს (274 მილიონი), მაგრამ სიფრთხილისთვის და მანამ გამოანგარიშებისათვის სრულიად უტყუარი საბუთები არ აღმოგვიჩნდება, ჩვენ შევჩერდებით სწორეთ ჩვენგან გამოყვანილ რაოდენობაზე.

ეს არ ამტკიცებს. რასაკვირველია, რომ იგი სრულის სისწორით იყოს მიღებული და მას არ სჭირდებოდეს სერიოზული შესწორება. უნდა ვიმედოვნოთ რომ ერთიც არის და ჩვენც გავგვიჩნდება ისეთი მასალა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს მეცნიერულის მეთოდებით შევუდგეთ რაიმე ამნაირს გამოანგარიშებას და აღარ გვინდებოდეს «ძიხვეულ» გზებით სიარული იქ, სადაც სისწორე და სიმტკიცეა საჭირო.

უფრო კიდევ ძნელია ეროვნული სიმდიდრის გამოანგარიშება. ამ რამდენიმე წლის წინეთ, პუნაქარეს ფინანსთა მინისტრობის დროს, ერთი გულუპრყვილო დეპუტატი პარლამენტის სხდომაზე შეეკითხა მას: «მითხარით, რამდენია საფრანგეთის ეროვნული სიმდიდრე და ეროვნული შემოსავალი?».

პუნაქარემ გაიღიმა და ასე უპასუხა: 30 წელიწადია სულ მაგის გამოანგარიშებაში ვართ და ვერ იქნა და ვერ მივიღე სწორი ანგარიში და აბა, აქ, ამ ერთ სხდომაზე როგორ უნდა დავაკმაყოფილო თქვენი შეკითხვა!..

ამ პასუხში ყველაფერი ნათქვამი და ახსნილია.

მიუხედავად ამისა, ადამიანის ცნობის მოყვარეობა ვერ ითმენს და თუ სწორე პასუხი ვერ მოუნახავს, სურთგატებს მიმართავს. ჩვენ არ ვწერთ მეცნიერულ შრომას, ჩვენ უბრალო კომპილათორის რोलში გამოვდივართ და ამიტომ უფრო გვეპატიება იმის თქმა, რაც მეცნიერისათვის დაუშვებელი იქნებოდა.

ჩვენგან წინადაც ნახსენებ გამოკვლევაში «პოლოყენიე რუს. სელსკ. ხოზ.» მოთავსებულია ერთი ცხრილი, სადაც სხვადასხვა სახელმწიფოებისათვის მოყვანილია ცნობა ეროვნულ სიმდიდრის და ეროვნულ შემოსავლის რაოდენობაზედ, თითო სულზედ.

ის ცხრილი გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა ქვეყნებში, თითო სულზე, გაწერილი ეროვნული სიმდიდრე, მეტია ეროვნულ შემოსავალზე: ზოგან ექვსჯერ, ზოგან 7 ნახ. ჯერ, რვაჯერ და სხვა.

რუსეთის პროპორცია ასეთია: ეროვნული სიმდიდრე 8 ნახ-ჯერ მეტია ეროვნულ შემოსავალზე.

თუ საქართველოსათვის მივიღებთ რუსეთის ნორმას (8 ნახ.), რაიც დასაშვებია, ვინაიდან რუსეთის ნორმის გამოანგარიშებაში საქართველოც იყო შეტანილი, მაშინ ზემოდ მოხსენებული ცხრილი, საქართველოს ჩართვით, ასე წარმოგვიდგება:



ოქრეს მანეთით	ინგლისი	ამ. შვედ. შტ.	გერმანი	საფრან.	იტალია	რუსეთი	საქართვე.
1) ეროვნული სიმდიდრე	3180	4240	2440	3030	1280	850	812.
2) ეროვნული შემოსავალი	500	720	300	389	230	101	95 მ. 58 კ.

აქ მოყვანილ ნორმით, საქართველოს მთელი ეროვნული სიმდიდრე აღირიცხება (1913 წლისთვის) = (2.437.000 × 812) = შორგვალეებით ორ მილიარდ ოქრეს მანეთად.

წინათაც ვსთქვით, რომ სიძნელე ამნაირ კითხვების გაშუქებისა—საყოველთაოდ არის ცნობილი; არამც თუ ღარიბი ქართული ეკონომიური ლიტერატურა არ იძლევა საშუალებას სინამდვილით იყოს აღრიცხული ეროვნული შემოსავალი და სიმდიდრე, არამედ თვით ის ქვეყნები, რომელთაც მდიდარი ეკონომიური ლიტერატურა მოეპოვებათ.—იქაც კი აღნიშნავენ კითხვის დიდს სიძნელეს და სირთულეს.

პოლანდიელი პროფ., დოქ ვერ. სტუარტი, ამბობს: «სრულიად ბუნებრივად იზადება სურვილი დროგამოშვებით მოხდეს ხალხმე ეროვნულ სიმდიდრის აღრიცხვა. მაგრამ, როდესაც ამ აღრიცხვის საშუალებებს იძიებთ, უცბად ეფეთებით დიდს სიძნელეთ. სტატისტიკურ მიმოხილვათა არა სისრულესაც რომ თავი დავანებოთ... თავისთავად ისმება კითხვა: არის კი შესაძლებელი რომელიმე ხალხის ეროვნული სიმდიდრის მტკიცედ აღნუსხვა?»

მიუხედავად ამნაირის სიძნელის ხსენებული მეცნიერი მაინც ხედავს საჭიროდ, დრო გამოშვებით მოხდეს ხალხმე ეკონომიური ცხოვრების და ფაქტების აღნუსხვა და მიმოხილვა.

ცნობილი ეკონომისტი ვერ. ზომბარტი ამბობს: «თუმცა დიდს მნიშვნელობას ვაკისრებ სტატისტიკურ მეთოდს მეურნეობის ყოფის კვლევა-ძიებაში, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ სარგებლობა მარტო ამ მეთოდის მეცნიერულ-ეკონომიურ ძიებისთვის არ არის მიზანშეწონილი... სამეურნეო ფაქტების აღმოსაჩენად აი რა საშუალებანი არსებობს: 1) უშუალო კვლევაძიება; 2) ამნაირად შესწავლის მაგიერი (სუროვატი)—დაკითხვა; 3) მთავრობის ანკეტები; 4) მეცნიერული მონოგრაფიები».

საქართველოს სამეურნეო მხარეების შესასწავლად, ჩვენ, რასაკვირველია, ვერა ვართ ისე შეიარაღებულნი, როგორც ეს საჭიროდ მიაჩნდა გერმანელ მეცნიერს: ამიტომაც არის, რომ ყოველი ცდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის გაშუქებისათვის დიდს და უამრავ სიძნელეს შეიცავს და თვით «ცოტაც» მოკლებულია სათანადო სისრულეს.

სხვა მრავალ კითხვებთა შორის, რომელთაც ვერ შევხვებით აქნობამდე, დავგზა ისეთებიც, რომელთა გაშუქება ეხლავე ერთობ საინტერესო იყო. ეს კითხვებია: უფრო დეტალური შეფასება ჩვენი სოფლის და ქალაქის ნაწარმოების სასაქონლო ნაწილის; გამოკვლევა იმ წყაროსი, საიდანაც ხდება დაგროვება; შეფასება ექსპორტის საერთო ღირებულობის; გზები და ტრანსპორტი; გამოკვლევა გლეხის და მუშის ბიუჯეტის და სხვა... ზოგი რამ მასალა მოხსენებულ კითხვების შესახებ ჩვენცა ვგაქვს დაგროვილი, მაგრამ მათი მოყვანა აქ ნაადრევად მიგვანჩნია. საქართველოში მომუშავე სპეციალისტები კარგა ხანია აპირებენ ყველა ამ კითხვების სათანადოთ გაშუქებას.

უნდა ვიფიქროთ, რომ ადრე თუ გვიან მათი შრომები გამოქვეყნებული იქნება და აი როდესაც ეს მოხდება, მაშინ, ალბად, ჩვენც დაუშვრუნდებით მათ განხილვას და ჩვენს მასალასაც იმ დროს მოვიმარჯვებთ.

ბოლო სიტყვაება.

როდესაც ამ «ცდის» შედგენას შევუდექით, ჩვენი ფიქრი, უმთავრესად, ქართველ მოხარდ თაობისაკენ იყო მიმართული.

თუ ჩვენი ეკონომიური ლიტერატურის სიღარიბე ყოველთვის იყო მიზეზი იმისა, რომ ქართველობა ნაკლებადაა გაცნობილი მშობლიურ ქვეყნის მეურნეობას, ეს ნაკლი ლიტერატურის უქონლობისა ერთი ათად უფრო სამძიმო არის ჩვენ მოხარდ თაობისათვის; მეტადრე კი იმ ნაწილისათვის, რომელიც საზღვარგარეთ იმყოფება. წინა თაობა, ასე თუ ისე, ეცნობოდა საქართველოს ეროვნულ მეურნეობის განცალკევებულ ფაქტებს—იმ ცნობათა, წერილების, თუ სტატისტიკური მასალების შემწეობით, რომელიც დაბნეულია ქართულს პერიოდულ და არაპერიოდულ გამოცემებში; ჩვენი მოსწავლე ახალგაზდობა, მეტადრე აქ, უცხოეთში, მოკლებულია ყველა ამას, რადგან ერთობ ძნელია იმ გამოცემათა მონახვა და ერთად მოგროვება. სწორედ ამან გვაფიქრებინა გვეცადა ისეთი კრებული შეგვედგინა, სადაც აქაიქ დაფანტული ცნობები ერთად იქნებოდა თავმოყრილი და ამით გაგვეადვილებინა საქართველოს მეურნეობის ზოგიერთი მხარეების გაცნობა.

ჩვენ ძალიან შორსა ვართ იმ ფიქრზე, რომ ამ «ცდის» დაწერით ჩვენმოდ დასმული მიზანი შესრულებულია; პირიქით, კარგად ვგრძნობთ მის არასისრულეს და ნაკლს, თუ მაინც ვავბედეთ შრომის გამოქვეყნება, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ დიდ საჭიროებას ვხედავთ, მივაწოდოთ აქაურ ახალგაზდობას თუნდა ასეთი არასრული «ცდა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ მეურნეობის მიმოხილვისა» და მით გაუადვილოთ მას სამშობლო მეურნეობის გაცნობის დაწყება.

დადგება დრო, დაგროვილ იქნება საჭირო სტატისტიკური მასალები, დაიწერება მონოგრაფიები. მეცნიერული კრიტიკა სათანადოთ გააშუქებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრების რთულ კითხვებს და აი მაშინ შესძლებენ ჩვენი ეკონომისტები, დაგვიწერონ უფრო სრული გამოკვლევანი. მანამ კი, ვიმეორებთ, უნდა ვეცადოთ ამნაირი არასრულის ნაშრომით მაინც გაუადვილოთ ჩვენებური მეურნეობის გაცნობა მათ, ვისაც ეს საგანი აინტერესებს.

თუ ეს ჩვენი მცირე «ცდა» ცოტაც არის ხელს შეუწყობს ამნაირს გაცნობიერებას—ჩვენი მიზანიც, ჩვენ მიერ მიღწეულად ჩათვლებას.

ბერლინი. გიორგი ქუთუღი.
გერენობლი. (—ლი—გ.)

გ რ ს კ რ ვ ი ვ ი ნ ე თ ღ ა ე ხ ლ ა

VIII.

სარწმუნოების და სინდისის თავისუფლება რუსეთს არას დროს არ ქონია. გარდა თებერვლის რევოლუციის რამდენიმე თვეებისა. არაქრისტიანული სარწმუნოება ყოველთვის დევნილი და შევიწროებული იყო. მართლ ებრაელთა დევნა ამ მხრით რათ ღირს! არამართლმადიდებელ ქრისტიანებიც დიდ შევიწროებას განიცდიდნენ. კათოლიკეებს, ღუხაბორებს, ნეკრასოვეებს, მოლაკნებს და სხვა სექტანტებს კოცონზე დაწვას უსჯიდნენ და მხოლოდ ეკატერინე მეორემ შეუტყველა მათ ეს სასჯელი ციმბირში გადასახლებით. ეკატერინოსლავის გუბერნიტორის კახოვსკის აზრით. «ისინი არ იყვნენ ღირსი ადამიანური სიყვარულის და მოპყრობისა». ამიტომ ბევრი მათგანი სტოვებდა სამშობლოს და ესახლებოდა ამერიკისა და ოსმალეთში.

როდესაც პატრიარქი ნიკონის ახალ საეკლესიო წესებს სოლოვეცის მონასტრის ბერები არ დაემორჩილნენ, იქ გაგზავნეს მოსკოვის ჯარი (1668 წ.), რომელიც 8 წლის განმავლობაში აწარმოებდა ბრძოლას აჯანყებულ ბერების დასამორჩილებლათ და რომლის დაპყრობის დროსაც არც ბერი და არც ხატი არ დაზოგეს. ამ პერიოდში სიკვდილით დასაჯეს ბევრი გამოჩენილი სტარობაბრიადელი, ხალხთვით მოხუცი ავვაკუმი კოცონზე დასწვეს.

სექტანტებს რომ თავი დაეანებოთ, თვით ე. წ. გაბატონებული სარწმუნოება მართლმადიდებლობა და მისი ეკლესია არასოდეს არ ყოფილა თავისუფალი და დამოუკიდებელი და ხშირად განიცდიდა შეურაცყოფასა და შევიწროებას. თუ როგორ ავიწროებდა ივანე მრისხანე მონასტრებსა და ეკლესიებს, ეს უკვე დავინახეთ. მოვიყვან სხვა ისტორიულ ფაქტებს.

1649 წ. მთავრობამ დაარსა «მონასტრის პრიკაზი», რომელსაც დაუმორჩილეს სამონასტრო მამულები და რომელიც ასამართლებდა სასულიერო წოდებას. ძალმომრეობას, როგორც სხვაგან, აქაც დიდათ ქონდა ფრთა გაშლილი. ამის გამო პატრიარქი ნიკონი მეფე ალექსის სწერდა: «სჯიან და ძალმომრეობენ ერის კაცებიო». აღმოსავლეთის პატრიარქებისადმი წერილში, რომელიც აპრიხნიკებმა დაიჭირეს, ნიკონი მათ შესჩიოდა: «მიყავთ ხალხი სამსახურში, პურსა და ფულს ძალით ართმევენ და მთელი საქრისტიანო შემშლილბს და გოდებსო».

პოლიტიკური ანგარიშით ყოველად შემდეგ ნიკონს პატრიარქობა ჩამოართვეს და როგორც უბრალო მორჩილი ბელოზერის მონასტ. დაამწყვდევს.

საერთოთ, ჯერ მიტროპოლიტებს და მერმე პატრიარქებს, სწერს რაქკოვი, რუსეთის მეფეები ისე ეპყრობოდნენ, როგორც მათ მოექციებოდნო. ივანე მრისხანემ გადააყენა მიტროპოლიტი ფილიპე, ხოლო მისი მემკვიდრეები მიტროპოლიტები კირილე და ანტონი თავის სრულ ხალაპებათ გახადა. გოდუნოვმა გადააყენა მიტრ. დიონისი და აკურთხა იობი, რომელიც მერმე პატრიარქათ იქნა გამოცხადებული. ეს უკანასკნელი გადააყენა ლუქვიმიტრიმ და მის მაგიერ პატრიარქთ გამოაცხადა ეგნატე.

ვასილ შუისკიმ ეგნატე გერმოვენით შესცავლა და მიტროპოლიტები თვითონ დანიშნა. ნიკონის მოადგილე პატრიარქები პიტირიმი და ადრიანე იყვნენ არჩეული არა საეკლესიო კრების მიერ. არამედ მთავრობის მიერ დანიშნული. ყველა ეპარქიის ეპისკოპოტები ინიშნებოდნენ მეფის მიერ და ყველა საეკლესიო ადმინისტრაციული პირები იყვნენ ერის კაცები.

საეკლესიო კრებები მე-17 საუკ. იკრიბებოდნენ მხოლოდ მეფის სურვილის თანახმით და მათი გადაწყვეტილება შედიოდა ძალაში მხოლოდ მას შემდეგ, რა რომ მთავრობა დაამტკიცებდა. (ნ. რაქკოვი. «რ. ისტ.» ტ. 4. გვ. 107).

ასე უდიერთ ეპყრობოდნენ მოსკოვის მეფეები მართლმადიდებელთა სინდისის თავისუფლებას და მისი ეკლესიის წარმომადგენელთ. უკეთესი დამოკიდებულება სარწმუნოებისადმი არც «გაეგროპიციზმულ» პეტერბურგის იმპერატორებს გამოუჩენიათ:

პეტრე დიდმა პატრიარქობა სავესებით გააუქმა და მის მაგიერ სინოდი დაწესა, რომლის წევრებს თვითონ ნიშნავდა და რომლის საქმეთა მართვა, მისი აზრით, ობერპროკურორის სახით ყველა გვარდიელ ოფიცერს შეეძლო. უშუალო მღვდლები ძალით გაკრიჭა და სალდათებათ გაგზავნა. ეკლესიებიდან და მონასტრებიდან ხარები ჩამოხსნა და ხარბაზნებათ გადაადნო. იგი ამითაც არ დაკმაყოფილდა და ეკლესია და მისი წარმომადგენლობა «სრულიად მასხარათა და სრულიად ღოთთა კრების» სახით, რომლითაც იგი პაპსა და პატრიარქს დასცილოდა, ქუჩის ბრბოს სამასხაროთ გახადა. და ამ მთვრალთა ეკლესიურ კარნავალში თვით პეტრე მთავარ დიაკონის სახით მხურვალე მონაწილეობას იღებდა. ამ მხრით იგი დღევანდელი უღმერთოთა ბელადის ემ. იაროსლავსკის წინაპარია.

პეტრე თავისი ეკლესიის რეფორმით, სწერს რაქკოვი, ცდილობდა ეკლესია მთავრობის იარაღთ გადაექცია. არც პეტრეს დაუყენებია კარგი დღე ეკლესიისათვის. მთელი მე 18 საუკ-ნე, ამბობს პროფ. ვერნადსკი, რუსის ეკლესიისათვის და სამღვდლოებისათვის მეტათ ცუდი იყო. ეკატერინე II სარწმუნოებისა და ეკლესიისადმი ცუდათ იყო განწყობილი და ზევიდან დასცქეროდა. 1764 წ. მისი ბრძანებით გამოიკცა კანონი, რომლის ძალით ეკლესიებს და მონასტრებს ჩამოერთვათ ქონება და გადაეცა «ეკონომიის კოლოვასს». შედეგათ ამას მოყვა 415 მონასტრის მოსპობა, ეს, ვერნადსკის აზრით, იყო განმანადგურებელი ღაზვარი რუსის ხალხის სარწმუნოებრივ-წვებრივ აღზრდის მთელი ისტორიული სისტემისათვის. როსტოვის მიტროპოლიტმა არსენმა ამის გამო პროტესტი განაცხადა. ეკატერინეს მოთხოვნით სინოდმა მიტ. არსენი გაასამართლა და გაკრიჭა, რის შემდეგ პირაქედელი ჩაავდეს რეველის ციხეში. (გ. ვერნადსკი. «ნაჩერტანიე რუს. ისტორიი», ნაწ. I. გვ. 197).

ასე რომ, გახურებული შანთით მოწინააღადგვის ამოწვა, რომელსაც დღეს ბოლშევიკები ხმარობენ



და რომლითაც სამღვდლოებას აწინებენ, ძველთაგან მომდინარეობს.

მე 19 და 20 საუკუნეც ასეთი მაგალითებით სავსეა. შედარებით ეკლესიას შეღავათი და პატივისცემა ქონდა, მაგრამ საერთოდ კი იგი მთავრობის ყურმპყრილი ყმა იყო და ვინც მის სურვილს წინ გადაედობებოდა, მას სასტიკათ სჯიდნენ. როცა საქართველომ დასომხეთმა რუსეთს სამეფობრო ხელი გაუწოდეს, ისინი ფიქრობდნენ, რომ ერთმორწმუნე რუსეთთან სარწმუნოებრივი თავისუფლების მხრით უზრუნველ ყოფილნი იქნებოდნენ. ეს ასე არ მოხდა. მეფის მთავრობამ ქართველი დასომხის ეკლესიებიც დაიმორჩილა ისეთივე სისასტიკით, როგორსაც საერთოდ ხმარობდნენ აღმოსავლეთის ტირანები.

1820 წ. 3 მარტს იმერეთის მართლმად დანიშნულმა პოლკოვნიკმა პუნიროვსკიმ დაპატიმრა ქართველი ეკლესიის უფლების დამცველი ღრმად მოხუცებული ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი და გენათელი ექვთიმე. რომელთაც სასტიკათ სცემეს, მერმე ტომრები ჩამოაცვეს თავზე და ისე გაგზავნეს ციხეებში. მიტროპოლიტი დოსითეოსი სურამში მოიხილა ტომარაში, ხოლო გენათელი ექვთიმე სვილის მონასტერში (1200 ვერსზე პეტერბურგიდინ) მოათავსეს და იქ გარდაიცვალა 2 წლის ფიციკურ და სულიერი ტანჯვის შემდეგ.

1903 წ. აგვისტოში სომხის საეკლესიო მთელ ქონებას კონფისკაცია უყო რუსის მთავრობამ. სომხეთის პატრიარქმა მკრტიჩმა ნიკოლოზ მეორეს დეკემბით სთხოვა შეეჩერებია განკარგულება მანამ, სანამ მისგან პირადათ არ მოისმენდა მოხსენებას. მაგრამ უარი მივიდა. ამ ძალ-მომრეობამ მთელი პროგრესული საზოგადოება ააღელვა და უწინარეს ყოვლისა სომხის-ერი და სამართლიანთაც. სომხებმა საპროტესტო კრებები გამართეს, მთავრობამ «ქრისტიანული მხედრობა» შეუსია და «დააწყნარა».

ამ ხაზითაც მეფისა და ბოლშევიკების პოლიტიკას შორის დიდი განსხვავება არ არის. და როდესაც რუსეთის რეაქციონერები და «ერთი და განუყოფელი» მოტრფილენი ბოლშევიკების ძალმომრეობის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებენ და სინიღისის და სარწმუნოების თავისუფლების დამცველათ გამოდიან და რომელთაც მიტროპოლიტი სერგის და სხვების განცხადება აკვირვებთ, მათ შეგვიძლია ვუთხრაოთ—ფლიდობთ და ფარისევლობათ.

რუსეთში სინოდი თავისუფალი სინდიისის მატარებელი არასოდეს არ ყოფილა. იგი აკეთებდა მას, რასაც პოპულაროსცევა-ლუკიანოვები უბრძანებდნენ. ბოლოს დროს იგი იქამდის დააქვეითეს, რომ რასპუტინის სურვილებს ასრულებდა, უფიც ბარნაბას ეპისკოპოზათ აცხადებდა და თუ კი უბრძანებდნენ, მიტროპოლიტი ანტონის გადმოცემით. «უწმინდესი სინოდი» მხათ იყო, არამც თუ ბარნაბა, ღორიც კი ეკურთხებია.

საიდან სადაო, წმინდა საბაო! სად სინდიისის თავისუფლება და სად რუსეთი! ამისთვის იბრძოდნენ რუსეთის საუკეთესო შვილები, მაგრამ ამას ისინი აღემატის ვერ მოესწრნენ.

კაქი.

უცხოეთის მიმოხილვა.

სტალინის სიტყვა.

სტალინის სიტყვამ, წარმოქმულმა 23 ივნისს და გამოქვეყნებულმა «იხვესტია»-ში 5 ივლისს, მსოფლიო პრესა მოიარა. ყველგან და ყველამ ერთი და იგივე დედააზრი გაატარა მის დაფასებაში: უკან იხვევენ კაპიტალიზმსაკენ, სტოვებენ სოციალიზმს. ახირებული დაფასებაა; მიუტოვებელი დაბრმავება! როდის ანხორციელებდა სტალინი სოციალიზმს? რაა საერთო უკანასკნელსა და საბჭოთა რეჟიმს შორის? ჩვენ არ ვამბობთ შესაძლებლობაზე—ამისთვის ჩამორჩენილი რუსეთი ყველაზე ნაკლებ მოსატანია—, მათ. ლენინს და მის ბლარტებს, არც მისწრაფება ჰქონდათ ასეთი, მათ სურდათ ხელისუფლების ხელში ჩაგდება, ჩაიგდეს კიდეც, და ამისათვის გამოიყენეს და იყენებენ სოციალისტურ და რევოლუციურ ფრანკოლოგიას. განა ცოტა იგივე ოინები სტალინის სიტყვაში? მაშ რითაა იგი ღირსშესანიშნავი, რით მიიპყრო მან ასეთი ყურადღება?

ამის პასუხს იძლევა სტალინის მიერ წამოყენებული ექვსი მუხლი, ჩამოვთვალოთ: 1) მოვრეკოთ მუშები კოლხონებთან ხელშეკრულებით; 2) მივაკრათ ისინი მრეწველობას და ხელფასიც განსხვავებული მივცეთ დახელოვნებულს და შავ მუშას; 3) მოვსპოთ უპირატეობა წარმოებაში და თვითუფლი პასუხისმგებელი გავხადოთ, დაგუბრუნდეთ ექვსი დღის მუშაობას, სადაც 5 დღის განუწყვეტელობამ ვერ გასჭრა, 4) ვეცადოთ გავიჩინოთ მუშათა კლასის მწარმოებელ-ტექნიკური ინტელიგენცია, 5) შევცვალოთ დამოკიდებულება ძველი სკოლის ინჟინერ-ტექნიკოსებთან, მეტი ყურადღება და მოკვლევა მათ; 6) დავანაწილოთ დიდი ტრესტები, რომ უკეთ ვუხელმძღვანელოთ ცალკე ქარხნებს. თვითუფლია წარმოებამ დააგროვოს ახალი თანხები.

საერთო ტენდენცია აშკარაა, იმდენათ აშკარა, რომ საბჭოთა ოფიციალზმა ვერცკი გამოაქვეყნა სტალინის სიტყვა 12 დღე! ეგ არის, არაბულათ რომ ვთქვათ, ამან-ამან, ვეროპიულათ-კაპიტულაცია-ხუთწლენი გასაჟირშია, ლამის დაინგრეს ბაბილონი გოდოლი და «მშვენიერი» ქვეშ მოჰყვენ. საჭიროა კომენტარები? მობილისაცია მუშების, ან რუსულა—«ბარშინა», მათი დაზგაზე მიკვრა, ქარხანაში ერთი ბატონი-მართველი, ათი-ათასები უცოდინარი ტექნიკოსების, პატივი ძველ სპეცებს, ინტერვენციის შიში გაჰქრა, კვირა დღის დასვენება და სხვა ასეთები. როგორც ხედავთ, სიტყვები და დეკლამაციები საქმეს არ შევლის, ბოლშევიკური დამკვრელობა უფრო ახდენს, ვინც აკეთებს რასმეს, მილიონების ამდენი სისხლი და წამება უსახდრო კრიმინალია, რისთვისაც სათანადო დაისჯებიან ჩამდენნი.

მაშ უკან დახვევა, ნეო-ნეპი, თავიდან დაწყება. ამისათვის ლიტვინოვის ახალი სიტყვა უნდაა, მორიგება კაპიტალისტებთან, მათი მოწვევა საშვე-

ლათ, დაღუპვისაგან გადასარჩენათ. კაპიტალისტები თავს იკატუნებენ, თითქო სჯერათ კრემლის ჩმახვა, დაპირება გაეწვორდებითო. ახალი მოლაპარაკება პარიზში, კრედიტი ლონდონში, ბერლინს კი 300 მილიონი მარკა უნდა გაეღო, ამ დროს გადიხნიქა წასაქცევათ. მართლაც რომ ბედი აქვთ ბოლშევიკებს. უჭირთ და ახალი რევოლუციური პერსპექტივები, ახალი დავლა, ხარკი დასავლეთიდან, ნერწყვი მოსდით პირში, რატომაც არა? განა საერთაშორისო ბურჟუაზიამ არ დაიმსახურა ეს? მისი უტვირნობა, გამოფიტვა უტყუარი ფაქტია. ევროპას იხსნის ნამდვილი დემოკრატია, ან სულ ვერაფერი იხსნის.

პუფერის გამოსვლა უკანასკნელი ცდაა არა მართლ გერმანიის, არამედ მთელი ევროპის სახსენლათ სამოქალაქო ომისა და ანარქიისაგან. მოსკოვი სამართლიანათ სთვლის ამ ზომებს მის წინააღმდეგ მიმართულად. შესძლებს კი ევროპა დარაზმვას, შეთანხმებას, თავდაცვას? სამწუხიროთ, ოპტიმიზმი არ გემართება, ძლიერ ხშირათ გვიცრუვდებოდა იმედები.

მაშ ხმელეთის მეექვსედის დიქტატორს კიდევ შეუძლია იბოვინოს, მისთვის არ სცალიათ, ზოგნი იხმარებენ მას საინტრიგოთ, კოზირათ. მაგრამ განა ცხოვრების დულიომა არ დაბადა სტალინის ექვსი მუხლი? ეს მისი უკანასკნელი ზიგ-ზავია, ამას მოჰყვება დამხობა.

დამოუკიდებელი კორტეხები.

ისპანიის რესპუბლიკა იმარჯვებს და ამის მომასწავებელია დამფუძნებელი კრების, კორტესების გახსნა ამ დღეებში. ბევრი ყალბი ხმები ედებოდა ევროპას, იყო შიშიანობაც, ლონდონში სამხედრო გემების გაგზავნაზეც კი ლაპარაკობდენ ისპანიის ნაპირებისკენ. გადატრიალების მოლოდინში, არჩევნების დროს. გადატრიალება მარცხნივ და არა მარჯვნივ—აი, რას ლაღადებდენ იქით-აქედან, და დღე არ გავიდოდა ისე, რომ არ აღმოეჩინათ ახალი ჯგუფი ავანტურისტებისა, მოსკოვიდან წარმოგზავნილი «მუშურ-გლეხურ» დიქტატურის დასამყარებლათ. გაცრუვდა იმედები, შავი იმედები, ისპანიამ, პირიქით, ისარგებლა ქველი რუსეთის გაკვეთილი, არამტოუ მოახდინა უსისხლო რევოლუცია, აღებულს პოზიციებიც შეინარჩუნა და ესლა მის გამაგრებას შეუდგა. კორტესები მოწოდებულია ძირითადი კანონები გამოიმუშავოს, ნორჩ რესპუბლიკას მტკიცე სეპირკველი ჩაუყაროს, მომხდარი ფაქტი დაადასტუროს, არალეგალური ლეგალურად აქციოს და განახლებული ძალებით შევიდეს საერთაშორისო კონცერტში.

საშიშროება სულ სხვა მხრიდან იყო მოსალოდნელი, შინაური დარაზმულობიდან, ე. ი. შესძლებდენ თუ არა რესპუბლიკანელები და სოციალისტები, ისე როგორც მათ შესძლეს მონარქიის დანარცხებას დროს, ეროვნული ბლოკით გამოსვლას, მათ ეს შესძლეს, დიდება და პატივი მათ, კორტესების

არჩევნებიდან მათმა ბლოკმა დიდი და გადამჭრელი უმრავლესობა მიიღო. მაშ დღესაც ისინი არიან მდგომარეობის ბატონ-პატრონნი, როგორც გუშინ იყვნენ დროებით მთავრობის სახით.

მაგრამ კიდევ იყო მეორე საშიშროება, უფრო საგულისხმიერო თავის დრამატიული შედეგებით. გაიმარჯვენ, ხოლო არავინ იცოდა, რას იქმოდენ მეორე დღეს, გაიყრებოდენ თუ დარჩებოდენ ბლოკში. დამაფიქრებელი კიდევ ის იყო, რომ გამარჯვებულთა შორის სოციალისტები რესპუბლიკანელებზე უფრო ძლიერნი გამოდგენ, და მათ წრეში კი მძლავრათ გაისმოდა ხმა გაყრისა, დიქტრინისათვის თავგამოდება, კლასობრივი ბრძოლის გაჩაღება, გუშინდელ მოკავშირეთა დატაკება. ისპანიის მუშათა მოძრაობა სუსტია, სოციალისტური პარტია უფრო სექტას წაავადა გუშინ, სინდიკალიზმი ძველ ანარქიულ მიდრეკილებითაა გამსუვალული—საუკეთესო ნიადაგია ბოლშევიკურ პროპაგანდა-აგიტაციისა.

ეს სიძნელეც გადალახულ იქნა. სოციალისტურმა კონკრესმა თითქმის ერთხმათ მოიწონა არსებული ბლოკი რადიკალურ ბურჟუაზიისთან და მოითხოვა მისი განგრძობა; ამას მოჰყვა ბლოკის მიერ კორტესების პირველ თავმჯდომარედ სოციალისტის არჩევა. რამდენი კარგი მაგალითია ჩვენთვის, გაუბედურებულ ერის მოღვაწეთათვის!

განა საქმე ამით როდი გათავებულა. ისპანია დიდი ქვეყანაა, მისი ხალხიც დიდია, ათასი გაჰივრება, ათასი სატკივარი აქვს მას, საქირთა მათი განკურნება, დაშოშმინება. სანიმუშოთ დავასახელებთ კატალინიის პრობლემას, რაც მოასწავებს ისპანიის ძლიერ ფართო ფედერაციას, რომელიც უნდათ ისარგებლონ ბასკებმაც, სხვებმაც. ავარარული საკითხი მეორე საბედისწერო რამაა კორტესებისათვის. მუშათა საკითხიც რომ მწვავეა ისეთ ქვეყანაში, სადაც სოციალურ კანონმდებლობაზე ნაკლებ ფიქრობდენ წარსულში. კლერიკალიზმი? ხომ არ არის მეორე ისეთი ქვეყანა, სადაც ის ასე ძლიერი იყო! ცეცხლმა უკვე იჩინა თავი, რამდენიმე მონასტერი მსხვერპლად მოჰყვა; ტოლედოს კარდინალი და ისპანიის პრიმატი საზღვრებიდან გააძევეს...

მაშ ძნელი და რთული კითხვა ბევრია. შესძლებდენ თუ არა ახალი ძალები მათ გადაჭრას? დრო არ იცდის, ეს მათ თავიდანვე შეიგნეს და ამიტომაც ასე ჩქარა მოიწვიეს კორტესები. ქარიშხალს, სტიქიას ეჭივრება გასასვლელი ვა—ეგაა კორტესები, ერის ავტორიტეტის მატარებელი. მისი ნებით დამფუძნებელი ახალი ცხოვრების, ახალი ძლევა მოსილების, განმგრძობი საუკუნოებით შეწყვეტილ უძლიერეს იმპერიის ცივილიზაციისა.



ენოთაყაიშვილისა

ჩვენს ემიგრაციას კიდევ გამოაკლდა ერთი მეტად თვალსაჩინო პიროვნება. სოფ. ლევილში ამა ივლისის 8-ს შიშვე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ისტორიკოსის და დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგის ექვთიმე თაყაიშვილის მეუღლე ქ-ნი ნინო.

განსვენებული იყო ცნობილი გაქართველებული პოლტორაკების ოჯახიდან. მამა მისი ივანე (დედა გაბაშვილის ქალი იყო), ილია ჭავჭავაძის საუკეთესო მეგობარი, ახლობელ მონაწილეობას ღებულობდა ჩვენი 60—80-იან წლების საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში და სხვათა შორის გადათარგმნა რუსულად მშვენიერის ენით «ვეფხისტყაოსანი» და ილიას მოთხრობები, რომლებიც სამწუხაროთ დღემდის გამოუცემელია. თავის დედამისს ხელში ქ-მა ნინომ მიიღო ნამდვილი ქართველი ქალის აღზრდა მაღალი სათნოებისა და სიყვარულის. ჯერ სწავლობდა ტფილისში, მერე პარიზში, სადაც მუსიკასა სწავლობდა და ოქროს მედალით იყო დაჯილდოვებული.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ იგი გაკვეთილებს აძლევდა სახლში და ჩინებული მასწავლებლის სახელი ჰქონდა დამსახურებული. 1895 წ. დაქორწინდა ახალგაზდა მეცნიერ ექ. თაყაიშვილზე და მთელი ოცდა თექვსმეტი წელიწადი იყო თავის ქმრის ერთგული მეგობარი. თანაშემწე მუშაობაში და ტვირთის შემსუბუქებელი. ქ-ნი ნინო მეტად თავმდაბალი ადამიანი იყო, არ უყვარდა თავის გამოჩენა, მაგრამ მისი მაღალი სულიერი თვისებები საყოველთაო ყურადღებას იპყრობდნენ და მისი ბუნება, მუდამ მოსიყვარულე, გულშემატკივარი, თავაზიანი, პატივისმცემელი ყველას ხიბლავდა და იზიდავდა. იშვიათად თუ ვისიმე ოჯახში მივიდოდა ადამიანი ისეთის სიამოვნებით, როგორც განსვენებულისას. დამატკბობელი იყო მასთან საუბარი, განათლებული გონების და თბილი გულის პატრონის და ღრმა მამულიშვილის მსჯელობის მოსმენა. მისი სახე მარად დაუღივწყარი იქნება არა მარტო ახლობლების გულში, არამედ სიყვარულით მოიგონებენ ყველანი. ვინც ერთხელ მაინც შეხვედრიან მას.

ამით აიხსნება რომ მის დასაფლავებას 12 ივლისს დაესწრო თითქმის მთელი ქართველი ემიგრაცია პარიზის და ახლომახლო ადგილების. ყველამ გულითადად გლოვით და ცრემლით მიაცილა მისი, თიჯულეებითა და გვირგვინებით დაფარული, კუბო უკანასკნელი განსვენების ადგილამდე და საფარანგეთის და უცხოეთის სხვა ადგილებიდან დეპეშებით თუ წერილებით ანუგემეს მისი დამწუხრებული მეუღლე. ქართველების გარდა დაკრძალვას დაესწრენ სოფ. ლევილის ფრანგები და პარიზიდან ჩამოსული უცხოელები.

სასაფლაოზე მსურვალე სიტყვები წარმოსთქვენს ქართულად მ. შალვა ვარდიძემ და ფრანგულად ქარ-

თველების დიდმა მეგობარმა ეპისკოპოსმა გრაფენმა, რომელმაც ხაზი გაუსვა, სხვათა შორის, იმ გარემოებას, თუ ქ-ნი ნინო, საუცხოვო მცოდნე ფრანგულისა, როგორ ეხმარებოდა თავის ქმარს უკანასკნელი სამუშაოების დროს.

«დამ. საქარ.» რედაქცია უერთდება ქართველი ემიგრაციის საერთო გლოვას და თავის მხრით უღრმეს სამძიმარს უცხადებს დიდად პატივცემულს ბ-ს ექვთიმეს.

პროფესორი ექვთიმე თაყაიშვილი

უღრმეს მადლობას მოახსენებს ყველა იმ პირთ და დაწესებულებათ, რომელთაც მისი ძვირფასი მეუღლის ნინოს გარდაცვალების გამო სამძიმარი გამოუცხადეს მას და ნუგეში სცეს წერილობით თუ პირადად და დაესწრნენ მიცვალებულის დაკრძალვას.

პროფ. ექვთიმე თაყაიშვილი ამით აცხადებს, რომ შაბათს, აგვისტოს 15-ს, ნაშუადღევს 5 საათზე სოფ. ლევილის სასაფლაოზე გადახდილი იქნება პანაშვიდი მისი ძვირფასი მეუღლის

ენოს

სულის მოახსენებლად, გარდაცვალების მეორმოცე დღეზე.

საქართველოს ამბები

ამ უკანასკნელ ხანებში კომუნისტების რიგებში ეროვნულ ნიადაგზე ბრძოლა მწვავე ხასიათს იღებს. მაგ. ტფილისში: არამიანცის საავადმყოფოში, კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში, მაუდის ქარხანაში. ტრამვაიში, სარემონტო ქარხანაში, აგურის ქარხანაში და სხვათა ყოველდღიურ ცხოვრებაში ანტიეროვნულ და ნაციონალისტ კომუნისტებს შორის დიდ შეხლა-შემოსლებს ქონდა ადგილი. ამის გამო «ზარია ვასტოკა» აფრთხილებს ქართულ «კომუნისტს», რომელსაც სათანადო ყურადღება არ მიუქცევია, ნაციონალისტურ გადახრის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

—საქართველოს საბჭოთა მთავრობის დადგენილებით, დათხოვნილი არიან, როგორც «შკარა მემარჯვენე და სოციალისტურ მშენებლობისთვის საქიროკადრების მომზადების საქმისათვის შეუფერებელი»: უნივერსიტეტის დამაარსებელი და ყოფილი რექტორი, ივანე ჯავახიშვილი, გრიგოლ წერეთელი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, მის. პოლიექტოვი. გ. გამყრელიძე, ანდ. ბენაშვილი, გ. გვებრიანი, ნ. იმნაიშვილი, ს. მიხელიძე და ვიქ. თევზაია.



— ქართველ მწერალთა ფედერაციიდან გამორიცხული არიან, როგორც აშკარა რეაქციონერები და შოუნიზმის მხარეები და «პასივური» ელემენტები: პავლე ინგვროსი, შალვა შარაშიძე, კ. გამსახურდია, იოს. იმედაშვილი, ქრ. რაჭველიშვილი, არ. ჯაჯანაშვილი, სიო ჭანტურიშვილი, თ. კიკვაძე, სიმ. ქვარია, ირ. ტატიშვილი, ს. ვარდოშვილი, ა. აბულაძე, ცვარნამი, ირ. სონღლი, ს. დოლიძე, ლ. ჯაფარიძე, დ. ნახუტურიშვილი, ივ. ელიაშვილი, კ. აბაშიძე, ნ. კეცხლავა, მის. საყვარელიძე, სიმ. ჯანაშია და მ. აბრამიშვილი.

— ტფილისში მიწის გათხრის დროს აღმოაჩინეს უძველესი დროის სამკაულები, სამუშაო იარაღები და საფლავები. სამკაულები და იარაღები ეკუთვნის შვიდ ათას წ. ქრ. დაბადებამდე და საფლავები ორი ათას წ. ქრ. დაბადებამდე.

კომუნისტური პრესა

უბადრუკმა კომუნისტებმა ქვეყანა გააყრუეს იმის ყვირილით. რომ არსად დედამიწის ზურგზე ისე არაა მოწესრიგებული ეროვნული საკითხი, როგორც საბჭოთა სამფლობელოშიო. ნამდვილად ასე აწეწილი ეს საკითხი არასოდეს ყოფილა. ეს ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნავს თვითონ კომუნისტების განცხადებით. ერთს ახალს ამის ნიმუშს ქართული «კომუნისტი» (№ 135) გვაძლევს. აქ დაბეჭდილია საქ. კ. პ. ც. კ-ის დადგენილება, რომელიც უსაყვედურებს «პროლეტარის» რედაქციას, რომელმაც თურმე «ვერ გაიგო დიდმპყრობელურ შოვინიზმისკენ და ადგილობრივი ნაციონალიზმისკენ გადახრების რაობის ლენინური განმარტება და ამტკიცებს, რომ «დიდმპყრობელობა მართლ რუსული მოვლენა არაა. არსებობს აგრეთვე ქართული დიდმპყრობელობა საქართველოში. ნაც-უმცირესობათა საქიროების, ენის მიმართ. ისევე როგორც სომხური და თურქული დიდმპყრობელობა სომხეთსა და ადერბეიჯანში ადგილობრივ ნაც-უმცირესობათა მიმართ». ც. კომიტეტს არ მოსწონს, რომ «პროლეტარი» ხედავს დიდმპყრობელობას ა. კ. ერებში და იმოწმებს სტალინს, რომლის სიტყვით, დიდმპყრობელობა ჰგულისხმობს მხოლოდ ველიკორუსულ შოვინიზმს, რომელიც «გამოხატავს წინადაცხადებული ველიკორუსული ერის მომავალი კლასების მისწრაფებას—დაიბრუნონ დაკარგული პრივილეგიები; აქედან გამომდინარეობს ველიკორუსული შოვინიზმის საფრთხე, როგორც პარტიის მთავარი საფრთხე ნაციონალურ საკითხში».

შეიძლება მკითხველმა ამის წაკითხვას სთქვას, ქარ. კომუნისტების ც. კომიტეტს კარგად დაუდგენია, და შეიძლება ჩვენც არაფერი გვეთქვა ამის წინამდებე მაინცადამაინც, საუბედუროთ საქმე ამით არ თავდება და კომიტეტი ზემომოყვანილი სიტყვების შემდეგ ასეთი მკაცრი ბრძანებით მიმართავს გაზეთებს «პროლეტარს» და «კომუნისტს»: «დაუნდობლად ამხილონ ყოველი გადახრა პარტიის გენერა-

ლურ ხაზიდან, ამასთან მთავარი ცეცხლი მიმართონ დიდმპყრობელურ შოვინიზმისკენ, როგორც მთავარ საფრთხისხენ ნაციონალურ საკითხში, ადგილობრივი ნაციონალიზმისკენ, განსაკუთრებით კი ქართულ ნაციონალ-უკლონიზმისკენ, რომელსაც საქართველოს პირობებში შეტყვევითი ხასიათი აქვს, რომელიც არღვევს საბჭოთა კავშირს და ა. კ. ფ. რესპუბლიკის ხალხთა ერთობას და დახმარებას უწევს ინტერვენტებს».

ახლა კი გავცდებოდა მკითხველი და მისთვის სრულიად გაუგებარი დარჩება საქ. კ. პ. ც. კომიტეტის დადგენილება. რაშია საქმე? რა დანაშაული მიუძღვის «პროლეტარს» და რით განსხვავდებიან ერთმანეთში გაზეთის და კომუნისტების ც. კ-ის პოზიციები? რუსეთს უნდა საქართველოს დამონება—ეს შოვინიზმია, დიდმპყრობელობა, დასაგმობია. საქართველოს უნდა თავისუფალი იყოს და ებრძვის დამხატვრელებს—ეს ჯეროვანია, მოსაწონია. მაგრამ კომუნისტებისთვის ესეც დასაგმობია, მიუღებელია. ეს აშკარად სთქვა ვახ. «პროლეტარში» «ამხ. ვართანთან». ამასვე ამბობს გადაჭრით ც. კ. დადგენილება. მაშ რა აქვთ სადავო და საჩხუბარი?

არაფერი. ც. კ-ის დადგენილება მხოლოდ მასკარადია, თამაშობაა, რომელიც უკვე საქმათ მოძველდა, ყველას მობეზრდა და ვერავის შეიყვანს შეცდომაში: ქვეყანამ უწყის, რომ ბოლშევიზმი და ერთა თავისუფლება შეუთრგებელია!

ქართველ კომუნისტების ერთ-ერთს ბურჯთაგანს ა. ერქომანიშვილს წიგნი გამოუტია სახელად «კოლმეურნეობა, მისი ორგანიზაცია და პრაქტიკა». წიგნმა ალბად, მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტის დაწერილია, რამდენიმე საცენზურო ინსტანცია გაიარა, მაგრამ მაინც მარცხი მომხდარა და წიგნი თურმე აღსავე აღმოჩნდა სხვადასხვა გადახრებით მარჯვნივ, მარცხნივ და ვინ იცის კიდევ საით. გაზეთი «კომუნისტი» გვატყობინებს, რომ ერქომანიშვილის ნაწარმოებზე დიდი მსჯელობა ჰქონია საქ. კ. პ. ტფილისის კომიტეტს და გრძელი და სასტიკი განაჩენი გამოუტანია, სადაც ჩამოთვლილია ავტორის ცოდვანი: 1) ერქომანიშვილი ამტკიცებს, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობა თავისთავად არ თამაშობს გადამწყვეტ როლს და არ იძლევა კაპიტალიზმის არ აღორძინების გარანტიას, 2) რომ «ჩვენი მეურნეობის სისტემა ჩამორჩენილი სისტემაა», 3) რომ «ამ ყამად ჩვენს ქვეყანაში სორციელდება უტოპისტების ფურისე, ოუენის და სხ. ოცნებაო» და სხ. და სხ.

განაჩენი ასე თავდება: «მიღებულ იქნას მხედველობაში ამხ. ერქომანიშვილის განცხადება თავისი შეცდომების შესახებ, მაგრამ ბიურო ამას არა სთვლის საკმარისად და წინადადებას აძლევს ამხ. ერქ-ს გამოვიდეს სიტყვიერად და წერილობით პრესაში მის მიერ დაშვებული ოპორტუნისტული შეცდომების გაშლილი ბოლშევიკური კრიტიკით».

ქ. ჩოლოყაშვილის ხელმოც და პანაშვიდი.

27 ივნისს, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხსოვნის აღსანიშნავად, გამართულ იქნა საღამო მუზე-სოსიალის დარბაზში. ქაქუცას სურათი, მართლმადიდებელი ცოცხალი ყვავილებით, ამკობდა ესტრადას. ელენე მამულაიშვილმა, ილ. დადიშქელიანმა, შ. ამირეჯიბმა და შ. ნებიერიძემ წარმოსთქვეს სიტყვები, მოიგონეს სხვადასხვა ეპიზოდები იმ გმირული ბრძოლის, რომელსაც აწარმოებდა ქაქუცე ჩოლოყაშვილი და ცოცხლად გადაშალეს დამსწრე საზოგადოების წინაშე მისი ხანმოკლე მაგრამ სახელოვანი სიცოცხლე. მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა საფრანგეთის გენერალურ შტაბის ოფიცერმა ლუი კოკემ.

მეორე დღეს, 28 ივნისს, სენტ უენის სასაფლაოზე, სადაც დრავებით დამარხებულია ქაქუცა ჩოლოყაშვილი, გადახდილ იქმნა პანაშვიდი შ. გრიგოლ ფერაძის მიერ.

როგორც საღამოს, ისე პანაშვიდს, დიდძალი ხალხი დაესწრო.

შარტველი ეკლესია პარიზში

გასული მაისის 24-ს, ბერძენთა ეკლესიაში პარიზში ქართველი ეკლესიის მღვდლად აკურთხეს ბონის (გერმანიის) უნივერსიტეტის დოცენტი გრიგოლ ფერაძე, ქართველთა კოლონიის და უცხო ეკლესიათა წარმომადგენლობის თანადასწრებით. კურთხევა შეასრულა კოსტანტინეპოლის მსოფლიო პატრიარქის ეგზარხოსმა მიტროპოლიტმა გერმანოსმა, რომელსაც ექვემდებარება დასავლეთ და ჩრდილო ევროპის მართლმადიდებელი ეკლესიები.

ამით დამთავრდა ქართველთა კოლონიის დიდი ხნის მუშაობა და ამიერიდან პარიზში არსებობს ქართველი მრევლი თავის მღვდლით.

ქართველი მართლმადიდებელი ეკლესიის დაარსება ნებადართული იქნა მ. უფ. მსოფლიო პატრიარქის ბასილი მესამის მიერ 1929 წ. 29 აპრილის ეპისტოლეით. იმავე წლის 21 ივლისს შესდგა სამრევლო საზოგადოება, რომელიც დაადასტურა პატრიარქის ეგზარხოსმა სეკტემბრის 17-ს.

მრევლის საბჭომ თანახმად წესდების მე-12 მუხ. მღვდლად აირჩია ბონის უნივერსიტეტის დოცენტი და ფილოსოფიის დოქტორი გრ. ფერაძე, რომელიც წარუდგინა დასამტკიცებლად საეკლესიო მთავრობას. 1931 წელს პარიზში მსოფლიო საპატრიარქოს ოფიციალურ კურნალ «ორთოდოქსია»-ში დაიბეჭდა პატრიარქის ფოტოს მფორის განკარგულება გრ. ფერაძის პარიზის ქართველი ეკლესიის მღვდლად კურთხევის შესახებ.

გრ. ფერაძის დიაკვნად სელდასმა მოხდა პარიზის დამღვეს ლონდონში ბერძენთა საკათედრო ეკლესიაში და მღვდლად კურთხევა წელს მაისში.

საქართველოში მიგვანია გავაცნოთ მკითხველებს ზოგი მუხლი ახლად დაარსებულ ქართველთა წმ. ნინოს ეკლესიის დებულებისა.

მუხლი 2: «... თანახმად მართლმადიდებელ ეკლესიის კანონებისა, ქართველთა წმ. ნინოს მართლ-

მადიდებელი ეკლესია ემორჩილება მსოფლიო პატრიარქის სამართალს და იმყოფება მისი მფარველობის ქვეშ... ამავე დროს ვინაიდან იგი არის ნაწილი საქართველოს (იბერიის) ეკლესიისა, მას მუდმივი სულიერი კავშირი აქვს საქართველოს ეკლესიასა და მის კათალიკოს-პატრიარქთან».

მუხლი 16: «... წმ. ნინოს მართლმადიდებელი ქართველი ეკლესია ყოველთვის იქნება მართლმადიდებელი და ქართველი და წირვა ლოცვა შესრულება მუდამ ქართულ ენაზე»...

შარტველი ეკლესია ხარბინში

ამაწლის 10 მაისს შესდგა ქართველთა ურთიერთშორის დამხმარე საზოგადოების წლიური კრება, რომელსაც დაესწრო 77 წევრი. კრებამ უწინარეს ყოვლისა მოისმინა გამგეობის მოხსენება, რომლიდანაც, სხვათა შორის, გამოირკვა, რომ საზოგადოებას, როცა გამგეობა შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას, დიდი ვალი ჰქონია—ემართა 3.000 მანმდე. ამიტომ გამგეობა იძულებული იყო მიემართა საგანგებო ზომებისთვის, რომ ეს მძიმე ტვირთი მოეხსნა და კიდევაც მან თავის რწმუნებულობის განმავლობაში უმეტესი ნაწილი ვალისა გადაიხდა. ამ ნიარად დღეს ნივთიერი მდგომარეობა საზოგადოებისა ბევრად უკეთესია, ვინემ ეს იყო საანგარიშო წლის დასაწყისში.

შემდეგ ამისა კრებამ მოისმინა სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომელშიაც კომისიამ აღწუსა სწორედ და რივიანად წარმოება გამგეობის მიერ როგორც საზოგადოების საღაროსი, აგრეთვე დანარჩენი საქმეებისა. კომისიამ, სხვათა შორის, გამოსთქვა სურვილი, რომ საზოგადოებამ გამოიღოს თავისი ყოველთვიური წვლილი პარიზში მყოფ ჭლეკით ავანთმყოფ ქართველთა სასარგებლოდ.

მოხსენებებს მოჰყვა საერთო კამათი. აღინიშნა, რომ გამგეობას ვერ გაუწევია სათანადო დახმარება ნივთიერად გაჭირვებულ ქართველებისთვის. უკანასკნელთა რიცხვი დღითიდღე იზრდება. ამის მიზეზია, ერთის მხრით, არაჩვეულებრივი დეპრესია, რომელიც ჰქმნის ცხოვრების დუხსირ პირობებს, და მეორეს მხრით, ის გარემოება, რომ ბევრი ლტოლვილი საბჭოთა «სამოთხიდან» აწყდება ხარბინს.

ხანგრძლივი კამათი დამთავრდა ზემოაღნიშნული მოხსენებების დამტკიცებით და შესაფერი რეზოლიუციების გამოტანით, რომელთა შორის აღსანიშნავია, როგორც სასიამოვნო დადგენილება, შემდეგი: დაევალოს გამგეობას შეძლებისამებრ დახმარება აღმოუჩინოს პარიზში მყოფ ჭლეკით დაავანთმყოფებულ ქართველთა.

დასასრულ მოხდა არჩევნები. არჩეულ იქნენ გამგეობის წევრებად დახურული კენჭის ყრით: ბ. ბ. ივლი. ხაინდრავა, კ. კეილია, ი. გოგვაძე, დ. გეგენავა, და ნ. შადური; კანდიდატებათ: ბ. ბ. ი. დანელია, ბ. რობაქიძე და ილ. მიქელაძე. სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ ღია კენჭის ყრით: ბ. ბ. მ. მუქელიშვილი, ი. ცხომელიძე და ი. ლლოტი. გიორ. კვიციანი.

პავლე (ჩიტო) ნინიაშვილი

წერილი რედაქციის მიმართ

ამა წლის 17 ივნისს, რუსების «ზემოვოსის» სანატორიუმში 6 თვის მიძიმე ავადმყოფობის შემდეგ ვარდაიცვალა ჩიტო ნინიაშვილი. ვინც კი განსვენებულს წინათ იცნობდა, ის ადვილათ არ დაიჯერებს, რომ ასეთ ვაჟაკს და ფიზიკურათ ძლიერს სენი ასე ადვილათ მოერეოდა. მაგრამ პრადის მოშხამულმა ჰაერმა, ლუკმა პურისთვის ზრუნვამ—შენობებზე მუშაობამ, ჩიტოს მაგარი ორგანიზმიც მოსტეხა. მან თავი მანამდის არ დაუდვა, სანამ განუკურნებელმა სენმა სასვებით არ დასცა. მას უკანასკნელ დრომდის არ უნდოდა დაეჯერებია, რომ იგი ჭლებით იყო ავით. ბოლოს დარწმუნდა, მაგრამ გვიანდა იყო.

ჩიტო ქ. გორიდან იყო. მსოფლიო ომი რომ დაიწყო, იგი ახალგაზნა მასწავლებელი იყო. 1915 წ. მობილიზაციით გაიწვიეს, გაათავა სამხედრო სასწავლებელი და ერთ წელზე მეტი დაყო დასავლეთის ფრონტზე. რევოლუციის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და თავიდანვე მხურვალე მონაწილეობა მიიღო ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლაში და მერმე სამშობლოს იარაღით დაცვაში. იგი გორის სახალხო გვარდიის ოფიცერი იყო და ყოველთვის ცდილობდა თავის მოვალეობა პირნათლათ შეესრულებინა. დროებით, ერთხანს ხაშურის სახ. გვარდიის ბათალიონსაც ხელმძღვანელობდა. გამბედავი და ვაჟკაცი იგი ბრძოლის დროს ყოველთვის წინა რიგში იდგა. მოსკოვის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, ჩიტომ სხვებთან ერთათ დასტოვა სამშობლო და გადაიხიზნა უცხოეთში—ჯერ სტამბოლში და მერმე ჩეხოსლოვაკიაში.

აქ იგი შევიდა რუსულ იურიდიულ ფაქულტეტზე და გაათავა 1928 წ. მას იმედი ჰქონდა, რომ მოესწრებოდა სამშობლოში დაბრუნებას და აქ შეძენილ ცოდნას გამოიყენებდა. მაგრამ იმედები არ გაუშარბოდა. 19 ივნისს იგი ზასმუკის სასაფლაოზე სამუდამოთ მიაბარეს ჩეხიის მიწას. ჩეხოსლოვაკიის ევანგელისტმა მღვდელმა ბ. ფარაყემმა, წესის აგების შემდეგ თავის მეტათ გრძნობიარე სიტყვაში სხვათა შორის სთქვა: ძმებო, ჩვენ დღეს აქ ვასაფლავებთ ქართველ ემიგრანტს, რომელიც იბრძოდა თავისი პატარა საქართველოს თავისუფლებისათვის ისე, როგორც იბრძოდენ ჩვენი ლეგიონერები. ძლიერმა მტერმა საქართველო დაამარცხა და მის საუკეთესო შვილებს დევნა დაუწყო. ზოგიერთმა მათგანმა თავშესაფარი ნახა ჩვენს ქვეყანაში და მათ შორის მანაც, ვისაც დღესაც ვასაფლავებთ. ჩვენ მას, დროებით, სამშობლოს მაგიერობა გაუწიეთ; ცოდნით აღიჭურვა და ფიქრობდა სამშობლოს გამოადგებოდა. მოხუცი დედაც ელოდა თავის შვილს, მაგრამ მუხთალობა ცხოვრებამ ასე არ ისურვა და მას სამუდამოთ ვაბარებთ ჩეხიის მიწას.

დასაფლავებას დაესწრო ექვსამდის ქართველი და რამდენიმე რუსი. კუბო შემკული იყო ცოცხალი ყვავილებით. დავასაფლავებ და გულში ყველა ჩვენგანი ნაღვლიანთ ფიქრობდა: «სადაურსა სად წაიყვან, სად გაუთხრი სამარესა»...

3.

პატივცემულო ბ.ნო რედაქტორო,
უმორჩილესად ვთხოვთ გამოაქვეყნოთ შემდეგი ანგარიში «ტუბერკულოზით ავადმყოფ ქართველთა დამხმარე კომიტეტი»-ს მიერ ამ წლის 16 აპრილს გამართულ საღამოსი.

შეკითხავალი:
კერძო პირთა შემოწირულება ფრ. 1.820
ბილეთები 6.375-50
ლოტარეია 1.278
ბუფეტი 4.939-80—14.413-30

გასხავალი:
ხალა ფრ. 1.650
ოკესტრი და თარი 830
სასმელები 1.631-25
ასისიტანს პიუბლიკ 611-30
მაგიდების და სკამების ქირა 355-75
ბუფეტის სან., ბილ. დაბ. და სხ. 1.270-40—6.348-70
დარჩა წმინდა შემოსავალი ფრ. 8.064-60

კომიტეტი უდრმეს მადლობას უძღვნის ქ-ნ თ. დადიანისას, რომელმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო საღამოს მოწყობაში.

ფულით შემწეობა აღმოგვიჩინეს: ქ-ბმა აბაშიძემ და ელ. ჩერქეზიშვილმა. ბ-მა: შანუან კენემ, რ. დიუგემ, პრინც მ. მიურატმა, მ. მოდიონომ, გრ. ბერიძემ, ალ. ჯაყელმა, დ. ჯორჯაძემ, გ. მაჩაბელმა.

პირადი შრომით და სანოვაციის შემოწირულობით კომიტეტს დაესმარნენ: ქ ნნი მ. დადიანისა, მ. ნ. მამულიაშვილისა ოჯახობით, ბ. ჰელმი, ა. ბერიძისა, ს. თოხაძისა, მ. გვარჯალაძე, დ. ამილახვარი, თ. ჯაფარიძე, გეგეჭკორი, ე. პერრიე. ბ-ნი ა. ზურაბიშვილი, მ. ნასყიდაშვილი, მ. კეცია, შ. ნიკოლაძე, დ. ამილახვარი, დ. ფერაძე, მგელაძე, გ. მოღებაძე, სარჯველაძე.

ყველა ზემოაღნიშნულ პირთ კომიტეტი დიდ მადლობას მოახსენებს.

ტუბერკულოზით ავადმყოფ ქართველთა დამხმარე კომიტეტი მადლობას უძღვნის ქარ. ასსოციაციის თავმჯდომარეს (რომელიც იმავე დროს წევრია კომიტეტისა) ბ-ნ. ცინცაძეს და მთელს გამგეობას, რომელთაც კეთილ ინებეს და კომიტეტს დაუთმეს 26 მაისის საღამოზე ბუფეტის მოწყობა და მისი შემოსავალი.

შემოსავალი იყო ფრ. 4.135, გასხავალი—2.787, 05. წმინდა შემოსავალი ფრ. 1.357, 95.

კომიტეტის თავმჯდომ.: ელ. აფხაზისა, მოლარე: ელ. დგვანოზისა.

ტუბერკულოზით ავადმყოფ ქართველთა დამხმარე კომიტეტმა მიიღო ექიმ ჯღარკავასაგან 508 ფრ. 60 სანტ., რისთვისაც კომიტეტი დიდ მადლობას სწირავს მას.